პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამს.—65 კ. დანარჩ. ქალაქში-85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. სამგლოვიარო განცხ.—5 მ. განმეორებ. განცხ. შეღავათი 15 პროც. განცხ. მიიღება შუად. 2 ს.
ექსპედიციის ტელეფონი 5—48.

დღიური

— შვეციის სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირის შეკვრას.

— საბერძნეთში გრძელდება მეზღვაურთა გაფიცვა: მოლაპარაკებმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

— გაიხსნა ამერიკის რესპუბლიკანური პარტიის კონფერენცია, რომელიც იხილავს მომავალი პრეზიდენტის არჩევნის საკითხს.

— იაპონიიდან გარბიან ამერიკელები, რადგან ანტიამერიკულმა მოძრაობამ იაპონიაში ფართო ხასიათი მიიღო.

— 7 ივლისს პრაგაში გაიხსნება მცირე ანტანტის კონფერენცია.

№ 134 (989) პარასკევი, 13 ივნისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. (500 მილ.) № 134 (989)

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ დღეს, ივნისის 13,
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგში დასმულ იქნეს
რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობის შედეგები.
პოლიტიკური ანგარიში

ალებად გამოყენებულ იქნეს ამხ. ზინოვიევის სიტყვა და რეზოლუცია უსეთის კომპარტიის ცკას ანგარიშის გამო, რომლებიც მოთავსებული იყო „კომუნისტში“.

თბილისის კომიტეტის მდივანი მ. კახიანი.

ჯარში გაწვევის კამპანია

პროვინციებიდან მოგვდის ცნობები ჯარში ახალგაზრდობის გაწვევის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

შარშან მორიგი გაწვევა სავსებით დამაკმაყოფილებლად დამთავრდა. მაგრამ ის, რაც ხდება დღეს, აჭარბებს ჩვენს მოლოდინს.

გლეხთა და მუშათა ახალგაზრდობა აღფრთოვანებით მიეშურება შეკრებ პუნქტებისა და წითელ ყაზარმებისაკენ, ცხადდებიან დანიშნულ დროზე ადრე, უარს აცხადებენ საექიმო შემოწმებაზე იმის შიშით, შეიძლება ჯანმრთელობის მხრივ სუსტად გვიცნონ და არ მიგვიღონო. გაწვეულთა გარდა მრავალი მოხალისე აწყდება მიმღებ კომისიებს და თხოულობენ ისინიც გაგზავნონ მუშურ-გლეხურ ლაშქარში.

გაწვეულთა მშობლები, მთელი მშრომელი მოსახლეობა ხალისით აცილებენ თავიანთ შვილებს და თანამოძმეთ, აძლევენ „ნაკაზს“ წითელარმიელის მოვალეობათა პირნათლად შესრულების შესახებ.

ჯარში გაწვევის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაიზარდა ხალხში საბჭოთა ხელისუფლებისადმი აქტიური თანაგრძნობა.

მშრომელ მოსახლეობას სავსებით აქვს შეგნებული, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაა მისი ინტერესების დამცველი, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ წყობილების ნიადაგზე შეიძლება მისი კეთილდღეობის შექმნა. ამიტომ ის მზად არის განამტკიცოს ეს ხელისუფლება მთელი თავისი ძალღონით.

მშრომელ ხალხს კარგად აქვს გათვალისწინებული წითელი არმიის მნიშვნელობა, არმიის, რომელიც ემსახურება მის საქმეს. ფხიზლად დგას მისი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის, რევოლუციის მონაპოვართა და ჩვენი რესპუბლიკების საზღვრების სადარაჯოზე.

ჩვენს ხალხს გაეგება, რომ საბჭოთა რესპუბლიკა ისევ გარშემორტყმულია კაპიტალისტური ქვეყნების რკალით, რის გამო კვლავ საჭიროა მძლავრი შეიარაღებული ძალის ყოლა, რაც არის საწინდარი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის თანდათანი განმტკიცების.

არის აგრეთვე მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც. გლეხობისათვის და ყოველი პატიოსანი მოქალაქისათვის ნათელი გახდა, თუ რა პირობებია შექმნილი წითელ ყაზარმებში, თუ რა უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მუშაობა სწარმოებს იქ.

წითელარმიელი ყაზარმებში უფლებამოსილი მოქალაქეა და არა უსიტყვო მონა, როგორიც იყო ჯარის კაცი ძველ დროს. წითელ არმიაში გამეფებულია ამხანაგური დამოკიდებულება უფროს-უმცროსთა შორის.

ამავე დროს წითელარმიელი იძენს ყაზარმაში წერა-კითხვის ცოდნას, იწვრთნება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებში, ხდება მშრომელთა რესპუბლიკის შეგნებული მოქალაქე, აქტიური მონაწილე ცხოვრებაში.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ყველაფერი ეს მოუთხრეს გლეხობას ძველმა, სამსახურ-მოხდილ წითელარმიელებმა.

ან რა თქმა იყო საჭირო, როცა ამას ამტკიცებდა ცოცხალი მაგალითი: წითელი არმიელი დაუბრუნდა თავის სოფელს საკმაო ცოდნით და შეგნებით. ის მოწინავე ელემენტია სოფლის ცხოვრებაში, მხურვალე მონაწილეობას იღებს სასოფლო საქმეებში. ამის დაუნახველობა არ შეიძლებოდა.

ჯარიდან დაბრუნებული წითელარმიელი საბჭოთა ხელისუფლების საუკეთესო აგიტატორია სოფლად, არა მარტო სიტყვით, არამედ თავისი გარდაქმნილი [illegible] მაგალითით.

და ჩვენც ვხედავთ, რომ ახლად გაწვეულნი მოდიან ყაზარმებში, რათა არ ჩამორჩენ თავიანთ მეზობლებს, წითელ არმიაში ნამყოფთ, რათა ისინიც გათვითცნობიერდნენ, კულტურულად ამაღლდნენ და ასე დაუბრუნდნენ ოჯახს, სოფელს.

ახალ-გაწვეულნი მოემგზავრებიან წითელ ყაზარმაში, როგორც სკოლაში. ამას აცხადებენ ისინი მიტინგებზე, ყველგან.

ხალხის ასეთი დამოკიდებულება მუშურ-გლეხურ ჯარისადმი და თვით ის მუშაობა, რომელიც გაჩაღებულია წითელ ყაზარმებში, მოწმობს როგორც იმას, რომ მიმდინარე მორიგი გაწვევა ბრწყინვალედ დამთავრდება, აგრეთვე იმას, რომ უძლეველია ის ხელისუფლება, რომელსაც ხალხში ასე ღრმა ფესვები აქვს გადგმული და რომელსაც ისეთი შეგნებული შეიარაღებული რევოლიუციონური ძალა უმაგრებს ზურგს.

მილიერანის დამარცხების შემდეგ

ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრშია ამ წამს მთავრობის კრიზისი საფრანგეთში.

ყოფილი მმართველი პარტიების (მემარჯვენე „ნაციონალური ბლოკის“) დამარცხების შემდეგ არჩევნებში, მოსალოდნელი იყო, რომ „მემარცხენეების“ გამარჯვების „მეორე დღესვე“ შესდგებოდა ახალი მთავრობა. მაგრამ დამარცხებულებმა არჩიეს უკვე საკმაოთ წყალშემდგარ პოზიციებზე გამაგრება და ამის გამოხატულება იყო მილიერანის „ჯიუტობა“ და მარსალის მთავრობის შედგენა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო და ჩვენც აღვნიშნავდით, უდღეური გამოდგა. ახალი მთავრობის თავმჯდომარის მიერ პარლამენტში სამშაბათს წაკითხული მილიერანის დეკლარაციის შემდეგ, „მემარცხენე“ ბლოკის პარტიებმა განაცხადეს, რომ არავითარ საქმეს ისინი არ დაიჭერენ არც რესპუბლიკის პრეზიდენტთან, არც მთავრობის თავმჯდომარესთან. „მემარცხენეთა“ ბელადების მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, რომელიც ფაქტიურათ გამოხატავდა უნდობლობას ახალი მთავრობის მიმართ, მიღებული იქნა დეპუტატთა პალატის (პარლამენტის) მიერ დიდი უმრავლესობით: 329 ხმით 214-ის წინააღმდეგ.

ამნაირად ეს მთავრობა დაეცა და ამანვე შეარყია საბოლოოთ მილიერანის, საფრანგეთის შავი რეაქციის ამ ბურჯის, მდგომარეობაც: საფრანგეთის ოფიციალური სააგენტო უკვე იუწყება დღეს, რომ პრეზიდენტი „გამომშვიდობა საფრანგეთის ხალხს“ და გადადგა. საფრანგეთი დღეს რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევისა და ახალივე მთავრობის შედგენის მოლოდინშია. პირველის ადგილზე ასახელებენ სენატის თავმჯდომარე დუმერგთან ერთად პარლამენტის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს, პენლევეს, მთავრობის მეთაურათ კი ისევ „მემარცხენე ბლოკის“ ბელადს, ერრიოს.

ამნაირათ ფორმალურათ მაინც ჩვენდამი ამდენხანს ყველაზე უფრო მტრულად განწყობილ სახელმწიფოს სათავეში დგებიან ეგრედწოდებული „მემარცხენეები“. ვამბობთ ფორმალურა-თქო, რადგან არ არის მოსალოდნელი, რომ არსებითად მან აწარმოოს რადიკალურათ განსხვავებული პოლიტიკა ძველთან შედარებით.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ერრიოს მთავრობამ დაიხიოს რურიდან ან და, მით უმეტეს, უარი განაცხადოს გერმანიის გატყავებაზე. თვით საბჭოთა კავშირის ცნობასაც, რომლის ლოზუნგის ქვეშ სხვათა შორის ჩატარდა წარსული არჩევნები, მემარცხენე ბლოკის წარმომადგენლები (სახეში გვყავს პენლევე მისი განცხადებით ამ საკითხის შესახებ) უდგებიან ისე ფრთხილათ, რომ უკვე მოსჩანს „ყურები“ პუანკარესი. თავისთავათ ცხადია, რომ სიტყვით მაინც, პირველ ხანებში, როგორც ჩვენ უკვე ვწერდით ამის შესახებ, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მოაჩვენებენ თავიანთ ამრჩევლებს, რომ მათი პოლიტიკის ხაზი ამ საკითხში ძირითადათ განსხვავდება ძველი მთავრობის პოზიციისაგან. ვიტყვით მეტს, ჯერ-ჯერობით, ძველი რუსეთის წვრილი კრედიტორების გავლენით, რომლებმაც იციან საბჭოთა მთავრობის აზრი მათი „ზარალის“ ანაზღაურების შესახებ, ახალი მთავრობა ვერ გაბედავს აშკარა მტრულ გამოსვლას ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებულია იმისაგან, როგორ გავლენას იქონიებენ ერრიოს მთავრობაზე ძლიერი ფინანსიური და სამრეწველო წრეები, რომელთა დაუხმარებლათ გაუჭირდება მას გაუძლოს ქვეყნის საქმეებს რესპუბლიკის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო. ყოველისფერი დამოკიდებული იქნება ჩვენთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მომხრე საფრანგეთის ბურჟუაზიის და ამის მოწინააღმდეგეების ძალთა განწყობილებისაგან. ერთი ყოველ შემთხვევაში ცხადია უკვე დღეს. ერრიოსთან ლაპარაკი შედარებით უფრო ადვილი იქნება ჩვენთვის, ვინემ ეს იყო შესაძლებელი პუანკარეს დროს.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირი ისარგებლებს ამ ახალი მდგომარეობით. როგორც ამხ. რიკოვის უკანასკნელი განცხადებიდან სჩანს, საბჭოთა მთავრობამ დაავალა უკვე სამეურნეო ორგანოების მეთაურებს დაიწყონ დაუყოვნებლივ საქმიანი მოლაპარაკება საფრანგეთის სათანადო წრეებთან. და თუ, მიუხედავათ ასეთი განწყობილებისა ჩვენი მხრივ, კვლავ აღმართება ორ მხარეთა შორის გარდაუვალი კედელი, ამაში დამნაშავე იქნება „მემარცხენეთა“ ბლოკი, რომელიც ამრჩევლებს უმასპინძლდებოდა „მემარცხენე“ დაპირებებით, ხოლო გააკეთებს მემარჯვენეთა საქმეს. საფრანგეთის ხალხს ერთხელ კიდევ მიეცემა შემთხვევა დარწმუნდეს რადიკალ-სოციალისტებისა და „სოციალისტების“ გაიძვერობაში...

პროფ. ნ. მარი

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა ცნობილი მეცნიერი ლინგვისტი, ლენინგრადის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკობის ძე მარი.

კავკასიის სიძველეთა გამოკვლევებით, ენათა წარმოშობა-განვითარების და ნათესაობის გარკვევით მან მსოფლიო მეცნიერის სახელი მოიხვეჭა და მთელი შკოლა შექმნა ენათმეცნიერებაში: უკანასკნელ წლებში მისი თეორიის მომხრე პროფესორმა ბრაუნმა საერთო ყურადღება მიიპყრო ევროპის მეცნიერებში და ის მიწვეული იქნა საპატიო კათედრაზე გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში.

მარის თეორიებს და გამოკვლევებს როგორც ქართველი, ისე სომხის ინტელიგენცია ყოველთვის შოვინისტურ ნაციონალისტურ თვალსაზრისით უდგებოდა და კიცხავდა მას, თუ ის თავისი კვლევის შედეგებით მათ ეროვნულ ყოყოჩობას და ტრაბახო- [illegible] საიდუმლოებით მოცულ წარსულს კავკასიელ ერებისას. როდესაც პროფ. ნ. მარი ახდენდა ძველი ქალაქის ანისის არქეოლოგიურ გამოკვლევას და მეცნიერული მიუდგომლობით აშუქებდა მას, შოვინისტური ინტელიგენცია ყოველთვის დიდ განგაშს ასტეხდა ხოლმე მისი ამა თუ იმ აღმოჩენის და დასკვნის შესახებ.

დღესაც ჩვენი ინტელიგენცია კამპანიას აწარმოებს დამსახურებული მეცნიერის წინააღმდეგ და სრულებით ივიწყებს მარის ღვაწლს საქართველოს წარსულის გამოკვლევაში, მის დაუღალავ მუშაობას ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე, სადაც მან მრავალ ქართველ ახალგაზრდას მისცა სათანადო მომზადება და მტკიცე დისციპლინა, გაუხსნა რა გზა მეცნიერული კვლევა-ძიებისა და მუშაობისაკენ. თამამად შეიძლება ითქვას რომ მხოლოდ მარის დაუღალავი მუშაობით და მოწაფეთა მთელი კადრის შექმნით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა კავკასიურ ენათა შესწავლის საქმეს და ძველი ლიტერატურა—ისტორიის გაშუქებას.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში მარი მარტო კაბინეტური მუშაობით არ კმაყოფილდებოდა, ის ხშირად გამოდიოდა პოპულიარული მოხსენებებით როგორც ამიერკავკასიის ისე რუსეთის ფართო საზოგადოების წინაშე.

ამასთანავე ერთად ის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრათ და ენერგიულ მუშაკათ ითვლება; მისივე ხელმძღვანელობით და ინიციატივით დაარსდა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი.

მარი ეკუთვნის იმ პროფესორთა ჯგუფს, რომლებმაც ადრიდანვე მისაღებათ იცვნეს საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობა და თანამშრომლობა. რასაკვირველია ასეთი პირი ვერ ისარგებლებს შოვინისტურ ნაციონა- [illegible] ით, მაგრამ მით უფრო მეტი თანაგრძნობის და პატივისცემის ღირსია ის მათგან, ვინც, მხოლოდ წარსულზე ოცნებობით არ სცხოვრობს და იმედიანათ შეჰყურებს კაცობრიობის განახლების ხანას, მშრომელთა გამარჯვების საქმეს.

ნ. მარის მოწინააღმდეგე ბანაკი ადამიანობის წამბილწველი შოვინიზმის საბუდარია.

ნ. მარის თანამგრძნობთა ბანაკი კი ადამიანობის ამაღლების და წინწაწევის მოციქულთა კრებულია.

ამით განიზომება ამ დიდი მეცნიერის და მოაზროვნეს წონა-მნიშვნელობა.

ამით აიხსნება ის არაჩვეულებრივი სიმპატია და პატივისცემა, რომლითაც აღსილნი არიან ნ. მარის მიმართ ყოველი შეგნებული მშრომელი და მშრომელთა წმინდა საქმის მესვეურნი.

მარიამ ორახელაშვილი.

საბინაო ამხანაგობები და ახალი საბინაო პოლიტიკა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვში სახლებზე კერძო მფლობელობა მიცემულია დავიწყებას. ძალიან ძვირათ შეხვდებით სახლებს კერძო პირების ხელში, მხოლოდ განაპირა რაიონებში თუ ნახავთ თითო-ოროლა სახლს. მთელი შენობების 95 პროცენტი უჭირავთ საბინაო ამხანაგობებს.

საბინაო ამხანაგობა იღებს ქალაქის აღმასკომისგან სახლს იჯარით რამოდენიმე წლით. სახლის საქმეებს (რემონტი, გათბობა, საცხოვრებელი ბინის განაწილება და გაქირავება, ბინის ქირის შეგროვება, ბანკიდან სესხის მიღება და სხვა) განაგებს საბინაო ამხანაგობის გამგეობა, რომელსაც ირჩევენ სახლის ამხანაგობის წევრები საერთო კრებაზე.

საბინაო ამხანაგობების მოწყობა დაიწყო გასული წლიდან. მათ მოწყობას სტიქიური ხასიათი ჰქონდა და მოკლებული იყო პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების გავლენას. ამით ისარგებლეს ბურჟუაზიულმა ელემენტებმა და ხელში ჩაიგდეს ბევრი საბინაო ამხანაგობა. საბინაო ამხანაგობების გამგეობაში შევიდნენ ვაჭრები, ყოფილი ჩინოვნიკები, სპეკულიანტები და სხვა არაპროლეტარული ელემენტები. სახლების მმართველობაც „თავის ჭკუაზე“ დააყენეს. ადგილი ჰქონდა განთავისუფლებული ბინების „ნეპმანებზე“ გაქირავებას (გაყიდვას), მაშინ, როცა პროლეტარულ ელემენტების სახლში შესვლის წინააღმდეგ ყოველ ზომებს ხმარობდენ. ხშირად მდიდარი მობინავეები ასეთ გამგეობების წყალობით იხდიდენ საბინაო ქირას იმდენს, რამდენსაც უმუშევარნი.

ამიტომ 24 წლის გაზაფხულზე დაიწყო კამპანია საბინაო ამხანაგობების და მათი გამგეობების ჩასაგდებად მუშების ხელში. უპირველეს ყოვლისა, გამოცემული იქნა დადგენილება, რომელითაც საბინაო ამხანაგობის წევრათ შეიძლება იქნეს მხოლოდ ის, ვისაც საბჭოთა კონსტიტუციით აქვს საარჩევნო უფლება. ამ დადგენილებამ წაართვა არა პროლეტარულ ელემენტებს საბინაო ამხანაგობის წევრობის უფლება. შემდეგ ჩატარებული იქნა საბინაო გამგეობების გადარჩევის კამპანია. არჩევნები ხდებოდა ყოველ სახლში ქალაქის აღმასკომის წარმომადგენლის თანდასწრებით.

არჩევნები ჩატარდენ ფრიად ცხოველად. ბურჟუაზიული ელემენტები უკანასკნელად სცდილობდენ გამძვრალიყვენ საბინაო ამხანაგობათა გამგეობებში. მათი ცდები უნაყოფოთ რჩებოდა, რამდენათაც მათ წინააღმდეგ შეკავშირებულათ გამოდიოდენ პროლეტარული ელემენტები.

საბინაო ამხანაგობების საერთო კრების დადგენილება მტკიცდებოდა საბოლოოთ ამ მიზნისათვის შექმნილ სარაიონო და ცენტრალურ კომისიებში, რითაც შესაძლებელი ხდებოდა —ისეთი არჩევნები, სადაც ბურჟუაზიულმა ელემენტებმა გაიმარჯვეს, უკანონოთ ჩათვლილიყო.

გადარჩევის კამპანიამ მოგვცა შემდეგი შედეგები: საბინაო ამხანაგობების გამგეობებში არჩეული იყო; მუშები—54 პროც.. მოსამსახურეები—39 პროც., მოსწავლეები—4 პროც. და თავისუფალი პროფესიის პირნი—1 პროც. ამრიგათ გამგეობების ახლანდელი შემადგენლობა 54 პროცენტით მუშურია. საბინაო ამხანაგობების ახალი გამგეობები თავის მუშაობის პირველი დღიდანვე შეუდგენ საბინაო საკითხებში პროლეტარული ხაზის გატარებას. იქ, სადაც სახლის მობინავეების პროლეტარული ნაწილი მცირეა, ახალი გამგეობები იღებენ ზომებს განთავისუფლებულ ბინებში ჩაასახლონ პროლეტარული ელემენტები. ეს ზომა ფრიად საყურადღებოა, რამდენათაც აქამდი საბინაო ამხანაგობების გამგეობები აქირავებდენ ბინებს მხოლოდ ბურჟუაზიულ ელემენტებზე იმ მიზნით, რომ მთგან მეტი ბინის ქირა აეღოთ.

აღსანიშნავია კიდევ ახალ გამგეობების მუშაობაში სახლის იმ ავეჯის გადანაწილება, რომელიც ეკუთვნის სახლს (და არა მობინავეებს). ასეთი ავეჯი კი ბლომათ მოიპოვება. ვინაიდან რევოლიუციის დროს მიტოვებულ ბინებში და შემდეგ ბურჟუაზიულ ელემენტების გამოსახლებულ ბინებში, ბევრი დარჩა ავეჯი, რომელიც ახლა საბინაო ამხანაგობის საკუთრებას შეადგენს. ამ ავეჯს ახალი გამგეობები ანაწილებენ ისე, რომ მეტათ ისარგებლოს მობინავეების პროლეტარულმა ნაწილმა. ზედმეტ ავეჯს აძლევენ ქირით მობინავეების არა პროლეტარულ ნაწილს.

შემდეგ აღსანიშნავია კიდევ ის, რომ ახალი გამგეობები შეუდგენ არა პროლეტარული მობინავეების ვინაობის გამორკვევს, რის შედეგი იყო ის, რომ აღმოაჩინეს ბევრი კონტრევოლიუციონერები, რომელნიც ემალებოდენ საბჭოთა ხელის უფლებას.

ამრიგათ, მოსკოვის საბინაო პოლიტიკა გამოსწორდა. თუ გასულ წელს საბინაო ამხანაგობისათვის სასურველი იყო მდიდარი მობინავე, რომელიც მეტს ფულს იხდიდა ბინაში, წელს უკვე მათ ეძებენიან და ახალი საბინაო ამხანაგობები სახლში ასახლებენ მუშებს და მოსამსახურეებს, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ბინის ქირას ცოტას იხდიან.

საბინაო ამხანაგობის
გამგეობის წევრი **ლან—ძე.**
მოსკოვი, 5 ივნისი.

რადიო-დეპეშები

„ზაკროსტა“-ს ცნობები

როგორც იქნა მილიერანი გადაათრიეს

დღეს მოხდება საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის არჩევა

პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მილიერანს

პრეზიდენტად ასახელებენ პენლევეს, რომელიც მომხრეა საბჭოთა კავშირის ცნობის

მილიერანი გადადგა

ბოიკოტის გამოცხადება.

ბერლინი, 12 ივნისი. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტი მილიერანი და ფრანსუა მარსალის კაბინეტი სასტიკად დამარცხდენ დეპუტატთა პალატაში. 329 ხმის უმრავლესობით 214-ის წინაღმდეგ, პალატამ მიიღო წინადადება პრეზიდენტის წერილის განხილვის გადადების შესახებ ეს წინადადება შემოიტანეს ერრიომ და ბლიუმმა. წინადადება მიღებული იქნა იმის შემდეგ, როცა მარსალმა გამოაქვეყნა პრეზიდენტის მომართვა. დეპუტატთა პალატა უარს ამბობს ყოველგვარ მოლაპარაკებაზე და ბოიკოტს უცხადებს პრეზიდენტს და ყოველგვარ მთავრობას, რომელიც შედგენილ იქნება ხალხის სურვილის გარეშე.

მილიერანი „ფიქრობს“.

პარიზი, 12 ივნისი. მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგება დღეს დილით, მილიერანის გადაწყვეტილება ეცნობება დღესვე ორივე პალატას.

მილიერანი „მიდის“.

პარიზი 12 ივნისი. პრეზიდენტმა მილიერანმა აცნობა მთავრობას, რომ ის გადადგება დღეს. მილიერანმა სთხოვა მარსალს, რომელიც უკვე გადადგა, დარჩეს მთავრობის სათავეში სანამ ახალი პრეზიდენტი არ იქნება არჩეული და შესდგება ახალი მთავრობა.

ახალი პრეზიდენტი არჩეული იქნება კონგრესის მიერ ვერსალში 13 ივნისს.

პარიზი. 12 ივნისი. პრეზიდენტმა მილიერანმა აცნობა პალატის თავმჯდომარეს, რომ ის გადადგება.

კონგრესი ვერსალში.

პარიზი. 12 ივნისი. დეპუტატთა პალატის მემარცხენე ჯგუფს და სენატს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ არავითარი გადაწყვეტილება ვერსალში კონგრესის შესახებ. ბენვონიუ მარტენს და დუმერგს დაევალა გამოიმუშავონ კონგრესის მოწვევის ვადა.

პარიზი. 12 ივნისი. 12 ივნისს ბურბონთა სასახლეში შესდგა ორივე პალატის მემარჯვენე ბლოკის პლენალური სხდომა.

ბერლინი, 12 ივნისი. საფრანგეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევა მოხდება პარასკევს 13 ივნისს ვერსალში.

კანდიდატებათ ასახელებენ პენლევესა და დუმერგს.

მილიერანი „გამოთხოვება“

ბერლინი, 12 ივნისი. ოთხშაბათს დღისით მილიერანი გადადგა. მილიერანის წერილი ერთსადაიმავე დროს იქნა წაკითხული დეპუტატთა პალატაში და სენატში.

3 საათზე ელისეის სასახლეში ჩამოუშვეს დროშა. უფრო ადრე მილიერანი თავის მიმართვაში „გამოეთხოვა“ საფრანგეთის ხალხს.

ერრიოს მეგობრების ცნობით, ის მზად არის შეადგინოს მთავრობა პარასკევს პრეზიდენტის არჩევის შემდეგ.

ვინ იქნება პრეზიდენტი

მდებობის გარშემო.

პარიზი 10 ივნისი. რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალ თავისუფალ თანამდებობის გარშემო დღითი-დღე ძლიერდება ინტრიგები მემარცხენეებმა მტკიცედ მალას წყვიტეს ტუოს. [illegible] ყოველგვარ ზომებს ღებულობენ ისეთი კანდიდატურის გასაყვანად, რომელიც გაუადვილებდა პუანკარეს სენატის თავმჯდომარის თანამდებობის მიღებას.

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

პენლევეს განცხადება.

პარიზი. 10 ივნისი. „იუმანიტე“-ს მოჰყავს პენლევეს განცხადება, რომელიც მოთავსებული იყო „ნიუ-იორკ ტაიმს“-ში საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის გამო. „ამჟამად—განაცხადა პენლევემ—ის კაბინეტი, რომელიც უარს იტყვის საბჭოთა კავშირის ცნობაზე, ვერ შეინარჩუნებს ძალა-უფლებას. ამ საკითხის გადაჭრის დროს შეიძლება ორი მეთოდის გამოყენება: ან დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ცნობა და მოლაპარაკების გახსნა ფინანსიური საკითხების მოსაგვარებლად, ან და ცნობას წინ უნდა უძღოდეს ფინანსიური მოლაპარაკება. მე მომხრე ვარ მეორე მეთოდის. მაგრამ ისმება საკითხი, თანახმა იქნება თუ არა ამერიკაც, რომ საფრანგეთმა მისცეს მას თავის ვალების გარანტიის სახით კონცესიები ნავთზე და ნახშირზე, რომელთაც მისცემს საფრანგეთს საბჭოთა კავშირი“.

„იუმანიტე“ აღნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ პენლევემ ან დაადასტუროს ან უარჰყოს ეს განცხადება.

უნდობლობის გამოცხადება

პრეზიდენტის ბარათის წაკითხვა.

პარიზი. 10 ივნისი. დეპუტატთა პალატაში მარსალის მიერ წაკითხულ პრეზიდენტის ბარათს პალატის ცენტრი და მემარცხენენი დუმილით შეხვდენ. ტაშს უკრავდა მხოლოდ მემარჯვენე მხარე.

სამინისტროს დეკლარაცია.

პარიზი. 10 ივნისი. მარსალმა გამოაქვეყნა სამინისტროს დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ეხლანდელი მთავრობა შედგენილია იმ მიზნით, რათა პალატას მიეცეს საშუალება გამოსთქვას თავისი აზრი კონსტიტუციის შესახებ: უნდა დარჩეს თუ არა საკონსტიტუციო კანონები ხელუხლებელნი და დგას თუ არა კონსტიტუცია პარტიულ დირექტივებზე მაღლა. ამ შემთხვევაში კენჭის ყრა გამოაჩენს უმრავლესობის იმ ბელადებს, რომელთაც უნდა გადაეცეს პრეზიდენტის უფლება და რომელთაც მართებთ იკისრონ პასუხისმგებლობა საფრანგეთის ბედ-იღბალისათვის, **ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ მოიწონებს პრეზიდენტის ბარათში გამოთქმულ პრინციპებს, რომლებიც ამავე დროს კონსტიტუციის საფუძველს წარმოადგენენ, მთავრობა აცნობებს პრეზიდენტს მისი მისიის უშედეგობას და პრეზიდენტიც მიიღებს თავის გადაწყვეტილებას.**

ამის შემდეგ პენლევემ წაიკითხა მემარცხენე ბლოკის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია დისკუსიის გადადების შესახებ. სიტყვა ეძლევა რეიბელს, რომელიც უსაყვედურებს ერრიოს და მის მეგობრებს, რომ მათ უარყვეს ხელისუფლების მიღება იმ მიზნით, რომ გამოეწვიათ პოლიტიკური კრიზისი და მილიერანის გადადგომა. რეიბელი უსაყვედურებს აგრეთვე რადიკალ-სოციალისტებს, რომ უკანასკნელად კომუნისტებს ელაქუცებიან, გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ რადიკალები გაჰყვენ რევოლიუციონერებს ანტიკომუნისტურ გზაზე და აღნიშნავს, რომ მილიერანს სრულიადაც არ შეუბღალავს კონსტიტუცია და რომ, პირიქით, პალატისადმი წერილის გაგზავნით მან შეასრულა თავისი მოვალეობა.

შემდეგ ამისა პალატის 320 ხმის უმრავლესობით 214-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია დისკუსიის გადადების შესახებ.

მომავალი პრემიერი

ერრიო იქნება პრემიერი.

რომი. 12 ივნისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, მილიერანი უახლოთ იუწყება, რომ გადასწყვიტა გადადგეს.

დღეს შესდგა პალატისა და სენატის მემარცხენე ჯგუფის ორი სხდომა, რომლებზედაც გადაწყდა პლენარული სხდომის მოწვევა, პლენუმზე რესპუბლიკანური პარტია წამოაყენებს კანდიდატს პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის დანიშვნის შემდეგ, უკანასკნელი მარსალის თანხლებით გაემგზავრება ელისეის სასახლეში, სადაც მარსალი აუწყებს პალატას კაბინეტის გადადგომას. **ახალი მთავრობის შედგენა დაევალება ერრიოს.**

მილიერანის ოინები

მილიერანის ბარათი

პარიზი. 10 ივნისი. თავის ბარათში, რომელიც გაეგზავნა პარლამენტს, მილიერანი აღნიშნავს, რომ ის იცავდა პროგრესის და სოციალური წესრიგის პოლიტიკას, სისწორით ასრულებდა. მთელი ქვეყნის წინაშე დაკისრებულ ვალდებულებებს და მიისწრაფოდა იქითკენ, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა წარმოებული ყოფილიყო მოკავშირეებთან სრუ- [illegible] განხორციელებულიყო ვერსალის ხელშეკრულება და პატივისცემა ყველა დიპლომატიურ აქტებისადმი, რომლებიც ამყარებენ ახალ წესრიგს ევროპაში. ისევე როგორც საგარეო პოლიტიკა, შინაური პოლიტიკაც ხელმძღვანელობს ომის გაკვეთილებით, ცდილობს თანასწორობის დამყარებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარგში და საფრანგეთის კრედიტის მხარის დაჭერას სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს შორის სრული წონასწორობის დაცვის გზით.

„საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია,—ამბობს მილიერანი, რომელიც აღიარებს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა პასუხი უნდა აგოს ორთავე პალატის წინაშე მხოლოდ ღალატის და გამყიდველობის შემთხვევაში,—სჩადის ამას ნაციონალურ ინტერესების, მდგომარეობის განმტკიცების და იმის მიზნით, რომ პრეზიდენტის უფლებები 7 წლის განმავლობაში არ განიცდიდენ არავითარ პოლიტიკურ ცვლილებებს, ხოლო თუ დღეიდან პრეზიდენტი იძულებული იქნება გადადგეს უმრავლესობის თავისუფალი გადაწყვეტილებით, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა პოლი[illegible] სათამაშო პარტიების ხელში. **მე უარს ვამბობ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გაქცევაზე,** ვინაიდან პარლამენტს, რომელიც მოვალეა გაატაროს ცხოვრებაში კანონები და თვალყური ადევნოს მის შესრულებას, არ შეუძლია თვითვე დაარღვიოს ეს კანონი. ამას გარდა, ისეთი მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო საკითხი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ყველა რესპუბლიკანურ დაწესებულებათა მომავალზე, არ შეიძლება გადაიჭრას ცალკე პირების ან ჯგუფების ნებით. მე სრული ნდობით მივმართავ პალატის გონიერებას, სიფრთხილეს და სიყვარულს საფრანგეთის რესპუბლიკისადმი.

საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მეგობრობა

ამხ. კარახანს ოვაციებს უმართავენ ჩინეთის სტუდენტები

ჩინეთის მთავრობა ბედნიერად სთვლის თავს ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებით

ჩვენი მეგობრობა ჩინეთთან მტკიცდება

ჩინეთის ხალხმა თვალი უნდა გაახილოს.

პეკინი. 10 ივნ. პროფესორებისა და სტუდენტების მოწვევით, ამხ. კარახანმა სიტყვა წარმოსთქვა მრავალრიცხოვან მიტინგზე პეკინის უნივერსიტეტის დარბაზში. დარბაზი მორთული იყო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დროშებით და გავსებული იყო სტუდენტებით წითელი ყვავილებით გულზე.

კარახანმა, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდენ, განაცხადა, რომ ჩინეთის ახალგაზრდობამ თვალი უნდა აუხილოს ჩინეთის ხალხს და მოითხოვოს იმ იმპერიალისტური ხელშეკრულებების გაუქმება, რომლებიც აღრჩობენ ჩინეთს. უნდა შეადაროთ ეს ხელშეკრულებები იმ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდვა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და რომელიც მიღებული უნდა იქნეს, როგორც ნიმუში ჩინეთის მიერ სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადების დროს. კარახანის სიტყვა ოვაციებმა დაფარა.

ერთმა სტუდენტმა, რომელმაც საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა, განაცხადა, რომ წითელი ფერი, აგრეთვე ჩინეთის ნაციონალური ფერი არისო.

მიტინგის შემდეგ სტუდენტებმა ამხანაგ კარახანთან ერთად გადაიღეს სურათი.

ახალი ფურცელი ჩინეთის ისტორიაში.

საღამოთი უნივერსიტეტში შესდგა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ საგარეო საქმეთა მინისტრი ველინგტონ კუ, ვანჩენ-ტინგი და ჩინეთის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

მისასალმებელ სიტყვების საპასუხოდ, კარახანმა აღნიშნა, რომ **შეთანხმებამ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ახალი ფურცელი ჩასწერა ჩინეთის ისტორიაში და ამავე დროს წარმოადგენს მხოლოდ ბრძოლის დასაწყისს, რადგან ჩინეთს მომავალში** უფრო სერიოზული ბრძოლის წარმოება მოუხდება, რომ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ველინგტონ კუმ განაცხადა, რომ დღემდი ჩინეთის მთავრობა კი არ იმუშავებდა ხელშეკრულებებს, არამედ იძულებული იყო ხელი მოეწერა ყველა პირობებზე, რომელსაც კი წაუყენებდენ მას. ჩინეთის მთავრობა ბედნიერია, რომ ახლანდელი შეთანხმება დადებულია თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე.

ვან-ჩენ-ტინგმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის მომავალი საერთაშორისო ურთიერთობისათვის, ვინაიდან ჩინეთმა ამ ხელშეკრულებით უნდა იხელმძღვანელოს სხვა სახელმწიფოებთა მოლაპარაკების დროს.

გერმანიის სოც.-დემ. და ბურჟუაზიის მეგობრობა

ბურჟუაზიული პრესა აღტაცებულია სოც.-დემოკ. საქციელით

კომპარტიამ მოწოდებით მიმართა პროლეტარიატს

მუშები მოითხოვენ პროფინტერნში შესვლას

ვინ აქებს მათ?

ბერლინი 10 ივნისი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომავალ ყრილობასთან დაკავშირებით, **მარქსის ორგანო „გერმანია“ ხოტბას ასხამს სოციალ-დემოკრატების პოზიციას, რომელიც დაიკავეს მათ ეხლახან არსებულ მთავრობის კრიზისის დროს.** გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატები არ ყოფილან მოწვეული არც მთავრობაში შესასვლელად და არც მის შედგენისათვის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მათ ხმა მისცეს ძველ მთავრობას. **გაზეთი ამაში ხედავს სახელმწიფო და პოლიტიკური გონიერების გამოჩენას და ფიქრობს, რომ დღეიდან სოციალიზმის საფრთხე განვლილია: სოციალ-დემოკრატია არა თუ დამარცხდა არჩევნებში, არამედ მთელი მისი პოლიტიკა არსებითად შეიცვალა,** რასაც ამტკიცებს ის, რომ სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელშიაც სახალხო პარტია ხელმძღვანელ როლს თამაშობს.

მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი.

ბერლინი. 10 ივნისი. კომპარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს ბერლინის პროლეტარიატს მიიღოს მონაწილეობა 15 ივნისის მასიურ დემონსტრაციაში, რომელიც გაიმართება რევოლიუციის მსხვერპლთა სასაფლაოსაკენ ფრიდრიხსფელდში, როზა ლიუქსემბურგის საფლავზე ძეგლის გასახსნელად.

სწორი გზით

ბერლინი. 10 ივნისი. **შუშეულობის მრეწველობის მუშათა კავშირის ბერლინის განყოფილებამ მიიღო ოპოზიციის წინადადება, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკების დაწყებას წითელ პროფინტერნთან შეთანხმების მიღწევის მიზნით.**

გაფიცვა ინგლისში

ყვითელ პრესის გალაშქრება.

ლონდონი. 10 ივნისი. ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, რომ რკინისგზის სახელოსნოების მუშათა გაფიცვა კლებულობს, **მაგრამ ალაგ-ალაგ მუშაობის განახლებასთან ერთად ცხადდება ახალი გაფიცვები. გაზეთების ასეთი ცნობები უნდა ჩაითვალოს გაფიცულ მუშათა გულის გატეხის ცდათ.**

ყველა გაზეთები თავის მოწინავე წერილებში ხოტბას ასხამენ კავშირის ლიდერებს და მოითხოვენ მკაცრ ზომებს კავშირის გამაგრებისათვის, რათა ეხლანდელ გაფიცვის დაგვარ ინციდენტებს მომავალში ძირი აღმოეფხვრას.

ბურჟუაზიული პრესა არწმუნებს საზოგადოებას, რომ საგაფიცვო კომიტეტში ბატონობენ კომუნისტები. ნამდვილათ კი იქ მხოლოდ ერთი კომუნისტია.

მოლაპარაკება უშედეგოდ რჩება.

ლონდონი. 12 ივნისი. რკინისგზის მუშების 4 კავშირის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ გაფიცვაში, დღეს თათბირი ჰქონდათ მიწის-ქვეშა გზების მთავარ ინჟინერთან. **მუშებმა წარუდგინეს ინჟინერს თავიანთი მოთხოვნილება.** კავშირების წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ ეს მოთხოვნილებები უნდა განხილული იქნეს ყველა რკინისგზათა კომპანიების მიერ.

შემდეგი თათბირი შესდგება ხვალ.

ფიქრობენ, რომ **მომავალი თათბირების შემდეგ, გაფიცვა ოფიციალურად იქნება ცნობილი.** რკინისგზელების ნაციონალური კავშირის მდივანმა კრამპმა კავშირის ბელადებთან თათბირის შემდეგ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ჰკიცხავს გაფიცვას.

ფაშისტების წინააღმდეგ

ფერმერების გამოსვლა ტეანოში.

ბერლინი. 12 ივნისი. ტეანოში, ნეაპოლის მახლობლად, მოხდა დიდი მღელვარება, რომელიც გამოიწვია ფერმერების დაპატიმრებამ. **ფერმერებმა** ბაზრიდან. ქუჩებში შეტაკების დროს, კარაბინერები დამარცხდენ და იძულებული გახდენ უკან დაეხიათ ახალი დამხმარე ძალების მიღებამდე.

მაკდონალდი და მუსოლინი.

ბერლინი. 12 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მაკდონალდი არ [illegible] და ამის ნაცვლად წინადადებას მისცემს მას შეხვდეს ლონდონში.

აჯანყება ალბანეთში

ძველი მთავრობა გაიქცა დურაცოში

შესდგება დროებითი მთავრობა

იტალიამ და სამხრეთ-სლავიამ ნეიტრალეტი გამოაცხადეს ალბანეთის მიმართ

ოფიციალური ცნობა.

ვენა 10 ივნისი. **ალბანეთში აჯანყებულები განაგრძობენ შეტევას ტირანაზე. მთელი ალბანეთის ჩრდილოეთი ნაწილი აჯანყებულების ხელშია.**

ბელგრადში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ იტალიის და სამხრეთ-სლავიის მთავრობებმა გადასწყვიტეს არ ჩაერიონ ალბანეთში მიმდინარე ბრძოლაში, რადგანაც ისინი ალბანეთის ამბებს სთვლიან ალბანეთის შინაურ საქმედ.

ტირანას აღებას ადასტურებენ.

პარიზი 12 ივნისი. ბოლგარიიდან მიღებული ცნობით, **ადასტურებენ აჯანყებულების მიერ ტირანას აღებას.**

მთავრობის წევრები გაიქცენ დუროცაში.

ბერლინი. 12 ივნისი. **აჯანყებულები კვლავ იმარჯვებენ. რომიდან მიღებული ცნობით, მთავრობის უკანასკნელი პოზიციები აჯანყებულების ხელში გადადის.**

დროებითი მთავრობა ალბანეთში.

ბერლინი. 12 ივნისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, **ალბანეთში შესდგა დროებითი მთავრობა** ფანნოლის თავმჯდომარეობით.

სხვადასხვა ამბები

— **აფეთქება მაღაროში.** პენსილვანიაში (ამერიკა) აფეთქდა ქვანახშირის მაღაროები, დაიღუპა 29 მუშა, 43—მძიმეთ დაიჭრა.

— **საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების გაუქმებას მოითხოვენ**, ფაშისტები დამარცხდენ იტალიაში საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არჩევნების დროს. ამის შემდეგ ფაშისტურმა სინდიკატებმა დაადგინეს მოითხოვონ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების გაუქმება იტალიაში.

— **ფაშისტების დამარცხება.** იტალიაში კომუნალური საბჭოების არჩევნების დროს ფაშისტები სასტიკად დამარცხდენ.

— **ოსმალეთი და ბოლგარეთი.** ბოლგარეთის წარმომადგენლები გაემგზავრენ ანგორაში, რომ მოლაპარაკება გამართოს ოსმალეთის მთავრობასთან სავაჭრო შეთანხმების შესახებ.

— **ესპანეთის დელეგატი სტამბოლში.** ახლოხანში ესპანეთის მთავრობა თავის წარმომადგენელს გზავნის სტამბოლში ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკების გასამართავად.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

სრულიად რუსეთის ყრილობა წერა-კითხვის უცოდინარობის საკითხის მოსაგვარებლად

მოსკოვი 12 ივნისი კვირას მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის ყრილობა წერა-კითხვის უცოდინარობის საკითხის მოსაგვარებლად. ჩამოვიდა 300 დელეგატი. კომპარტიის ცეკას მუშა და გლეხქალების განყოფილების სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ნიურინა**, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ დარგში მიღწეულია დიდი წარმატება, მაგრამ საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა. შეუძლებელია რუსეთი ვაქციოთ წერა-კითხვის მცოდნეთ და შეგნებულად, თუ წერა-კითხვის მცოდნე არ გახდება თვითეული ქალი.

უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტობა მზად არის მთელი თავისი ძალები მოახმაროს წერაკითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას.

ამხ. **კრუპსკაიამ** აღნიშნა: „ქალაქში და სამრეწველო ცენტრებში მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. სოფელში კი საერთო კეთილდღეობის ზრდასთან ერთად ადგილი აქვს გლეხობის კლასობრივი დანაწილების პროცესს, რაც გამოიხატება კულაკურ ელემენტების გაძლიერებაში და საშუალო და ღარიბ გლეხობის დასუსტებაში. კულაკებთან ბრძოლაში ღარიბი წრეები მოკლებული არიან კულტურულ საშუალებებს, ისინი ძალიან ჩამორჩენილი არიან კულტურულად. გაზეთი და წიგნი დიდი ვაივაგლახით აღწევს სოფლამდე, რაც აფერხებს დაწყებულ მუშაობას, რომელიც ხელახლა უნდა დავიწყოთ. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით სალიკვიდაციო პუნქტების მუშაობა უნდა დაუკავშიროდ სკოლას და ქოხ-სამკითხველოს. ამხ. კრუპსკაია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის აყენებს იძულებით პრინციპს, მისი აზრით აუცილებელია ადგილობრივ პირობებთან შეგუება და ღარიბ ელემენტების თვითმოქმედების ზრდის გამოყენება.

პარტიული ცხოვრება

კომპარტიის ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო! რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობამ ჯამი გაუკეთა მთელს გაწეულ მუშაობას, გაითვალისწინა ყველა მიღწევები, შეიმუშავა მომავალი აღმშენებლობის გეგმები და პერსპექტივები.

ყრილობის მუშაობის მასალები უნდა განხილული და გაცნობილი იქნეს [illegible]

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა შეუდგეთ ყრილობის შედეგების შესახებ კამპანიების ჩატარებას.

გაითვალისწინა რა ამ კომპანიის ჩატარების აუცილებლობა, სააგ.-საპროპაგანდო განყოფილება შეუდგა მთავარ მოხსენებების თარგმნას და გამოცემას ქართულ, თურქულ, სომხურ და რუსულ ენებზე. მოხსენებები გამოდის ცალკე გამოცემებით და ახლო [illegible]

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი: **ა. მიასნიკოვი.**

სააგიტ.-საპ. განყოფილების გამგის მოადგილე: **მ. ესსენი.**

საქ. კომპარტიის ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

წელიწადზე მეტია, რაც ჩვენში დაარსდა **„რემედას“-ის** (რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო საზოგადოების) **სრულიად საქართველოს განყოფილება.** ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა აღნიშნოს, რომ მიღებულ ცნობებით „რემედას“-ის მუშაობა ადგილებზე არ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი წლის წინედ ადგილებს დაეგზავნა ყოველგვარი სახელმძღვანელო მასალა, ეს მუშაობა მრავალ ორგანიზაციებში აქამდე არ არის მოწესრიგებული.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი „რემედას“-ის მუშაობას ექცევა სრულიად ფორმალურათ: დანიშეს რწმუნებული და ამის შემდეგ არ იციან რა ხდება ამ დარგში.

ამგვარი მოქცევა „რემედას“-ის ორგანიზაციისადმი ჩვენ არანორმალურათ მიგვაჩნია.

ამის გამო ცენტრ. კომიტეტი წინადადებას გაძლევთ:

1) იქ, სადაც სამაზრო და სარაიონო რწმუნებულები დანიშნულნი არ არიან, ასეთები დაინიშნოს **დაუყოვნებლივ**.

2) მაქსიმალურათ იქნეს გაძლიერებული მუშაობა ყველა წარმოება-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა ჩასაბმელათ „რემედას“-ის მუშაობაში. საზოგადოებაში უნდა ჩაბმულ იქნენ აგრეთვე უღარიბესი გლეხებში.

3) თვალყური ადევნეთ **სრულიად საქართველოს განყოფილებიდან „რემედას“-ის** ადგილობრივ განყოფილებებში ყველა გაგზავნილ ცირკულიარებს და ინსტრუქციებს.

4) ამა თუ იმ ცირკულიარის მიღებისთანავე **დაუყოვნებლივ** გაიმართოს „რემედას“-ის სამაზრო განყოფილების ან სამაზრო რწმუნებულის მოხსენება.

მიღებულ ზომებისა და თქვენი ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ **დაუყოვნებლივ** აცნობეთ ცენტრალურ კომიტეტს და აგრეთვე **„რემედას“-ის სრულიად საქართველოს განყოფილებას.**

ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი კოსტანიანი.

ც. კ-ის სააგ.-საპროპ. გ-ის გამგე გახტაძე.

მეცამეტე ყრილობის მუშაობის მნიშვნელობა

საუბარი ამხ. კამენევთან

მოსკოვი. 12 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს, ამხ. კამენევმა გააშუქა რ. კ. პ. მე-13 ყრილობის მუშაობის მნიშვნელობა.

რ. კ. პ. დაიჭირა გამოცდა.

ყრილობამ ორგვარი საკითხები გადაწყვიტა: შინაპარტიული საკითხები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ პარტიის შინაური ცხოვრებისათვის და სახელმწიფოებრივი ხასიათის საკითხები, რომლებიც დასმული იყო ჩვენი პარტიის, როგორც სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მატარებელ პარტიის წინაშე.

ორივე კატეგორიის საკითხების გადაწყვეტა იყო გამოცდა, რომელიც პარტიამ კარგათ დაიჭირა, თუმცა მას უკანასკნელი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდა მუშაობა; ამ პირობებს უპირველეს ყოვლისა ართულებდა ვლადიმერ ილიჩის ჩვენთან არ ყოფნა.

შინაპარტიული იდეოლოგიის განმტკიცება.

ჩვენი პარტიის შემოდგომის დისკუსიამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა ჩვენ გაცილებით უფრო მგრძნობიერი დამოკიდებულება პროლეტარული იდეოლოგიის ელემენტებისადმი ჩვენს პარტიაში; მან ხაზი გაუსვა ყოველგვარი გადახრის საშიშროებას და მიგვითითა იმაზე, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება მათ წინააღმდეგ.

ყრილობამ დაადასტურა მე-13 პარტკონფერენციის გადაწყვეტილება და რეზოლიუცია ცეკას ანგარიშის შესახებ; ყრილობამ ამასთანავე ხაზი გაუსვა ცეკას პოზიციის სისწორეს ოპოზიციას საშუალება ჰქონდა უკანასკნელათ დაეცვა თავისი გამოსვლები პარტიული ყრილობის წინაშე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამხ. ტროცკის პირით მან განაცხადა, რომ მზათ არის დაემორჩილოს პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს. სიამოვნებით მიიღო რა ამხ. ტროცკის განცხადება იმის შესახებ, რომ პარტიის თვითეული წევრი უნდა დაემორჩილოს პარტიის გადაწყვეტილებებს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ის მას სამართლიანათ არ სთვლის ყრილობას, რასაკვირველია, ასეთ განცხადებაში არ შეეძლო არ დაენახა თავისი შეცდომების კატეგორიული აღიარება ოპოზიციის მიერ. მთელ რიგ დელეგატებმა, რომლებიც უპასუხებდენ ამხ. ტროცკის, ხაზი გაუსვეს იმ დიპლომატიურ და საპარლამენტო მეთოდებს, რომელსაც მიმართავს ოპოზიცია საკითხების განხილვის დროს.

დაადასტურა რა ცეკას პოზიციის სისწორე, ყრილობამ ამით პირდაპირ განახორციელა შინაპარტიულ იდეოლოგიის გამტკიცების ამოცანა.

ლეჩხუმის მაზრის ქალთა განყოფილების მუშაობა აპრილში და მაისში

ლეჩხუმის მაზრა არის გაყოფილი 4-რაიონად ამისდა მიხედვით ხდება ქალთა კრებები. აღნიშნული ორი თვის განმავლობაში ჩატარებული არის უპარტიო ქალთა საერთო კრება 7, დელეგატური კრება 9.

მომხდარია სამი კომისიის სხდომა მაზრის მასშტაბით, სხვადასხვა გასართობების მოწყობის მიზნით, უღარიბესი ქვრივ-ობლების სასარგებლოთ.

მოიყო ქალთა ორგანიზაციის მიერ კომისია „ალეგრის“ მოწყობის მიზნით, საბავშვო სახლის სასარგებლოთ, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. გამოიყო აგრეთვე სარედაქციო კოლეგიები დ. ლაილაში და ქ. ცაგერში სამ-სამი წევრით რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას. განყოფილების მიერ იქნა ცირკულიარები გაგზავნილი რაიკომებზე და ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორებზე. ამ დარგში მუშაობის გამოჯანსაღების შესახებ და სხვა.

ქალთა ორგანიზაციის მიერ დადგმულ იქნა დ. ლაილაში 1-მაისს სააგიტაციო პიესა „ქალები ახალ გზაზე“, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხში. იყო აგრეთვე მოწყობილი საბავშვო დილა და სხვა...

თანახმად ცირკულიარისა, გაყვანილ იქნა გლეხთა კომიტეტებში მუშა ქალები, რომლებიც მოწოდებისთანავე შეუდგებიან მუშაობას.

რაც შეეხება ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობას, დაარსებულია ქ. ცაგერში მოწაფე ქალთა შორის პოლიტ-წრეები, სადაც 50-დე მსმენელი ითვლება. სამეცადინო კრება არის მათ შორის ჩატარებული მაისის განმავლობაში 8. მეცადინეობა სწარმოებს პოლიტ-ანბანიდან. შედეგი

განყ. მჭიდრო კავშირი აქვს ყველა ადგილობრივ ორგანოებთან, ღებულობს მონაწილეობას პარტკომის მიერ ჩატარებულ კამპანიებში და სხვა.

განყოფილებას მიზნათ აქვს ახლო მომავალში დ. ჭრებალოში გახსნას მუშა-ქალთა სამკერვალო არტელი რისთვისაც საჭიროა მატერიალური დახმარება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ქალთა შორის მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლათ.

მუშაობაში ხელს გვიშლის ფოსტის თავის დროზე არ მიღება და შტატის სიმცირე; საჭიროა მომზადებული ძალების გადასროლა ასეთ ჩამორჩენილ მაზრაში, როგორიც არის ლეჩხუმი. ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების მიზნით.

ი. ყრუაშვილი.

ექსპერტების საკონტრიბუციო გეგმა და გერმანიის პროლეტარიატი

„გერმანიას [illegible] და შინაური ბურჟუაზიის [illegible] აჯანყებული პროლეტარიატი“.

— ([illegible])



ეგრედ წოდებულ ექსპერტებმა შეთითხნეს გეგმა
და „კალონების“ მაღალს ბანზედ ისურვეს შედგმა,
რომ აქ, მომაღლოთ, უზრუნველად ეგრძნოთ თავები!..
მაგრამ, ჰა, ბანქვეშ დატრიალდა მუშის მკლავები:
საკმაო დარჩა ოდნავ გაკვრა ხელის—სვეტებზე,
რომ მაღლით რისხვა დაეტეხა ჩვენს ექსპერტებზე!
შეძრწუნდენ. ყალყზე შიშისაგან დაუდგათ თმები,
რა ნახეს, რომ მარცხს განიცდიდენ მათი გეგმები!..

ქიმიური თავდაცვისათვის

ქიმიურ თავდაცვისა და ქიმიურ მრეწველობის თფილისის საორგანიზაციო ბიურო მოუწოდებს ქალაქ თფილისის მეცნიერულ-ტეხნიკურ ძალებს და ქიმიურ მრეწველობისა და თავდაცვის დარგში პრაქტიკულათ მომუშავე პირთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქიმიურ მრეწველობისა და ქიმიურ თავდაცვის მეგობართა საზოგადოების მუშაობაში.

მხოლოდ მეცნიერულ-ტეხნიკურ ძალთა და პრაქტიკოს-მუშაკთა ფართო მონაწილეობით შესძლებს ქიმსაზოგადოება იმ ამოცანათა გადაწყვეტას, რომელნიც დასახული აქვს მას, სახელდობრ: მოსახლეობის ფართო მასაში ქიმიის უცოდინარობის ლიკვიდაციას, მეცნიერულ-გამოკვლევითი ფართო მუშაობის მოწესრიგებას, საბჭოთა კავშირის ქიმიურ მრეწველობის ორგანიზაციას და ამაღლებას სათანადო დონემდე.

პროფესორებო, ექიმებო, ინჟინრებო, სტუდენტებო, ქიმიურ მრეწველობის მუშაკნო და მოხალისე-ქიმიკოსნო მიიღეთ აქტიური მონაწილეობა ქიმსაზოგადოების მუშაობაში.

მოახმარეთ თქვენი ცოდნა-გამოცდილება ქიმიურ მრეწველობის ორგანიზაციას.

შეადგინეთ ქიმსაზოგადოების წრეები.

ებრძოლეთ ქიმიის უცოდინარობას მოსახლეობაში.

მომავალი ქიმიას ეკუთვნის.

თფილისის ქიმსაზოგადოების ს. ორგანიზაციო ბიურო.

რეგისტრაცია იმ ამხანაგების, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ქიმსაზოგადოების მუშაობაში, სწარმოებს ქიმიკოსთა კავშირში—მუშათა სასახლე, მე-3 სართული, ოთახი № 31, ტელეფონი № 6—06 დილის 8 საათიდან 2 საათამდე.

საქართველოს გლეხკომების პირველი თათბირი

მოხსენებები ადგილებიდან

ახალციხის მაზრის გლეხკომები.

გლეხთა კომიტეტების მოწყობას შეუდექით 1923 წ. 9 ივნისიდან და დავამთავრეთ იმავე წლის 21 ოქტომბერს.—ამ რიცხვისათვის მოეწყო 166 სასოფლო გლეხთა კომიტეტი, რომლებიც თავს იყრიდენ 9 სათემო გლეხთა კომიტეტში.—

დეკემბრიდან გავატარეთ გლეხკომების შემჭიდროება. ნაცვლად 166 კომიტეტისა მოეწყო 26 სასოფლო, 4 სარაიონო და 1 სამაზრო გლეხთა კომიტეტი.

გლეხკომების და გლეხკაცობის შორის განწყობილება კარგია.

კომიტეტების ფონდების მდგომარეობა მაზრაში ასეთია: თვით დაბეგვრიდან შემოსულია: 3.220 ფ. 26 გ. პურის ხორბალი, 2786 ფ. 21 გ. ქერი, 3.217 ფ. სიმინდი, 67 ფ. ლობიო და 43 ჭვავი. მაზრის გლეხკომში სხვადასხვა წყაროებიდან შემოსულია: ფულად—2.292 მან. (ამ ანგარიშში არ შედის ფართლეულობის სავაჭროს თანხები). დახმარების და სესხის სახით გაცემული გვაქვს—1.035 ფ. პურის ხორბალი, 1.469 ფ. ქერი, 882 ფ. 26 გირ. სიმინდი, 209 ფ. კარტოფილი და ფულად—1291 მან. 93 კაპ. წითელარმიელთა ოჯა-

წერილები საფრანგეთიდან

ერრიო და ლეონ ბლიუმის მთავრობის მოლოდინში

საარჩევნო ციებ-ცხელება დასრულდა. უკვე შეიძლება ლაპარაკი არჩევნების შედეგების შესახებ. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომელიც გაზ. „ტან“-მაც კი აღნიშნა: მემარცხენე ბლოკმა, რომელშიც შედიან ე. წ. რადიკალურ-ბურჟუაზიული პარტიები და სოციალისტები („სოციალური ზავის“ მქადაგებელნი) ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. თუ ეს ბლოკი არ დაიშალა, პალატაში მას 276 მეტი მანდატი ექნება („სოციალისტების“, „რადიკალ-სოციალისტების“, „რესპუბლიკანელ-სოციალისტების“ (სოციალისტური იარლიკი ყველას აკრავს, სოციალისტური კი არაფერი აქვთ პროგრამაში) და შესძლებს მთავრობის შედგენას. მართალია, ერთის პირობით: თუ ის აშკარად არ გაილაშქრებს ბურჟუაზიის რეაქციონური ნაწილის წინააღმდეგ, რადგან წინანდელი ნაციონალური ბლოკი, თუ ის დაეყრდნობა მონარქისტებს, მემარჯვენეებსა და სხვა ელემენტებს, შესძლებს პალატაში 264 ხმის შეკრებას და ამრიგათ მემარცხენე უმრავლესობას მხოლოდ თორმეტი ხმა ექნება.

აქ ჩვენ პირველ ყოვლისა შემდეგი კითხვა უნდა მივსცეთ ჩვენს თავს: ეს უმრავლესობა არსებობს თუ არა დიდხანს და უფრო მტკიცეა, თუ არა ის, ვიდრე ძლიერი უმცირესობა რომლის წინააღმდეგ მას მოუხდება ბრძოლა? შესძლებენ თუ არა ყველა ეს სხვა და სხვა ჯურის „სოციალისტები“—რადიკალები, რესპუბლიკანელები, სოციალისტები და სხვები,—წინააღმდეგობა გაუწიონ შეკავშირებულ მემარჯვენე ფრთას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერა! ვინაიდან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფინანსიური ძალები სინამდვილეში უფრო ჩქარა გაყვებიან დამარცხებულ ნაციონალურ ბლოკს, ვიდრე მემარცხენეთა ბლოკს, რომელიც მოისურვებს მემარცხენე პოლიტიკის გატარებას. ყველა ამ ფინანსისტებსა და კაპიტალისტებს საკმაოთ ძლიერი გავლენა აქვთ ამ ახალ უმრავლესობაზე, მის შიგნითაც კი. ამასთან ერთად, სახეში უნდა იქნას მიღებული დეპუტატების დაუსწრებლობა სხდომებზე და სხვა შემთხვევითი მოვლენები. გარდა ამისა, შესაძლოა დეპუტატების ნაწილი გავიდეს მემარცხენე ბლოკიდან და შეუერთდეს დამარცხებულთა ბანაკს.

ასეთ პირობებში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის 26 მანდატს შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა დაურჩეს. საფრანგეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის დეპუტატები, რომელთა ამოცანას შეადგენს მოითხოვონ იმ დაპირებების შესრულება, რომლებსაც უხვად იძლეოდა ახლანდელი უმრავლესობა არჩევნების დროს, რასაკვირველია შეეცდება გაუადვილოს გზა ახალ მთავრობას, რომელიც, სხვათაშორის იქნება რყევისა და ქანაობას მთავრობა.

ჩვენ ეს ფაქტი იმისათვის ავღნიშნეთ, რომ საერთო დასკვნა გამოვიტანოთ: ევროპის ყველა მოწინავე ქვეყნებში მემარცხენე პარტიებს თანდათანობით უფრო და უფრო უძნელდებათ ბრძოლა რევოლიუციური პარტიის წინააღმდეგ, მისი ნებასურვილის წინააღმდეგ, ამ პარტიებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტიას.

ჩვენმა პარტიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, განსაკუთრებით პარიზში. სენისა და უაზის დეპარტამენტის 300,000 მუშამ ხმა მისცა ჩვენს პარტიას. ყოფილმა ოფიცერმა-ტეხნიკოსმა და შავ ზღვაზე საფრანგეთის ფლოტში აჯანყების მონაწილე მარტიმ, სენისა და უაზის დეპარტამენტში სასტიკად დაამარცხა ტარდიე, რომელიც კლემანსოს მემკვიდრის როლს ჩემულობდა. მუშა ბაროტონმა პარიზში დაამარცხა მორიც ბინდერი, ერთი თვალსაჩინო რეაქციონერთაგანი.

ვაიან-კუტიურიე საუცხოვოდ ახასიათებს „ლიუმანიტე“-ში ამ ფაქტის უდიდეს მნიშვნელობას.

„პარიზი,—სწერს ის,—გარშემორტყმულია რევოლიუციონური პროლეტარიატით.

პარიზის რაიონი შეურიგებელ კომუნიზმს, მიუხედავათ ათასგვარი ყალბი ცნობებისა, რომელსაც მის წინააღმდეგ ავრცელებდენ, ათასგვარი ცილისწამებისა, რომელსაც მის წინააღმდეგ მიმართავდენ, მიუხედავათ იმ განხეთქილებისა, რომელიც მის შიგნით მოხდა,—1924 წ. აძლევს უფრო მეტ ხმებს, ვიდრე მისცა 1919 წ. სოციალისტურ პარტიას, რომელიც მაშინ მთლიანი იყო, თუმცა მასში უკვე შეჭრილი იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის შხამი“.

სოციალისტები, რომლებსაც წვრილ ბურჟუაზიასთან ფორმალური კავშირის წყალობით 102 მანდატი აქვთ პალატაში, განზრახ ამახინჯებენ თითეულ ფაქტს.

პოლ. ფორი აღნიშნავს, რომ პარიზმა 26 მანდატიდან კომუნისტებს 18 მანდატი მისცა. და ამ „სოციალისტს“ შესწევს გამბედაობა შემდეგი სიტყვები სთქვას ამის შესახებ:

„ეს საძაგელი პარიზი! გარყვნილების ჰაობი, სადაც გაბატონებულია უკმაყოფილების სული და სადაც დემაგოგები ზოგჯერ ჩვენთვის განმანადგურებელ გავლენას ახდენენ. ოდესღაც პარიზი ბულანჟისტების მხარეზე იყო, შემდეგ დრეიფუსის საქმის დროს, ნაციონალისტური გახდა, შემდეგ 1919 წელს მიემხრო ნაციონალურ ბლოკს, კომუნიზმსაც უნდა დაესვა მასზე თავისი დაღი. ასეც მოხდა. ეს გატაცება გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენსაც ზოგიერთი მოდა, ან გაციების ეპიდემია“.

პარიზი—„გარყვნილების ჰაობი“! გმირი პარიზი, ძველი რევოლიუციონერი ქალაქი გაირყვნა, „გადაგვარდა“ იმიტომ, რომ მან იცის ახლანდელი ბატონ პოლ ფორის („სოციალისტების“ ბელადის) დაფასება იმიტომ, რომ მას ახსოვს მილიერანიზმის გაკვეთილი და მობეზრდა ეს მას; იმიტომ, რომ მას მობეზრდა ფორისა და კომპანიის უსირცხვილო პროვოკაციული გამოსვლები რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ. პარიზს აღარ სურს იყოლიოს ისეთი დეპუტატები, სამინისტრო პორტფელების მოტრფიალენი, როგორიც არიან ფორი და კომპანია, იმიტომ რომ მას არ სურს იყოლიოს მოხელე ბიუროკრატები სამინისტრო სავარძლებში განცხრომით მჯდომნი.

როგორ დაეცა, რა ცინიზმამდი მივიდა „სოციალისტი“ პოლ ფორი! პარიზმა განიცადა დრო ბულანჟესი, დრეიფუსის საქმე, შაბროლის საქმე, განიცადა ომის დღეები, როცა პროლეტარებით სავსე მატარებლებს გზავნიდენ ფრონტისაკენ. მაგრამ პარიზმა განიცადა ეს კრახი მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც სამართლიანად ამბობს ანდაზა: „როცა კარგი რამ ფუჭდება, ის საძაგელი ხდება“. მაგრამ ნამდვილი პარიზი, ის პარიზი, რომელსაც ერთად ერთს აქვს მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის და მხოლოდ მას ექნება მუდამ ეს მნიშვნელობა—ეს არის პარიზი კომუნარების, 1830 წ. ივლისის დღეების პარიზი, პარიზი პირველი პროლეტარული აჯანყების 1848 წ. ივნისში, პარიზი 1871 წ. დიდი კომუნის, რომლის წლისთავი ახლა იდღესასწაულეს. 1871 წ. ისე, როგორც 1892—93 წ.წ., პარიზი იყო რევოლიუციონური, პროვინცია კი, ის პროვინცია, რომელმაც ახლა ხმა მისცა მემარცხენე ბლოკს, მას შემდეგ, როცა 1919 წ. მან ხმა მისცა ნაციონალურ ბლოკს—ეს პროვინცია მაშინ იყო „თეთრი“, ჟირონდისტული, ის იყო ვერსალის მხარეზე. ვინც გაცნობილია პარიზთან, სადაც თავმოყრილია საფრანგეთის მთელი ნაციონალური და პოლიტიკური ცხოვრება—მას ალბათ პარიზი მოეჩვენება საფრანგეთის ტვინად ან გულად. „პარიზი, უსათუოდ სტრატეგიულათ ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიცია არის საფრანგეთში“, სადაც როგორც ლენინი გვასწავლის „ყველაზე მძლავრი უნდა ვიყოთ გადამწყვეტ მომენტში“.

ჩვენ სრულიად არ გვსურს გვერდი აუხვიოთ, მედგველობაში არ მივიღოთ ის გავლენა, რომელიც აქვს იმ პარტიის ოპორტიუნისტულ სოციალიზმს, რომელმაც ასე საუცხოვოდ იცის პარიზისა და მისი პროლეტარიატის გინება, საფრანგეთის პროლეტარიატის ზოგ. ნაწილზე. საფრანგეთში ჩვენ ვამჩნევთ ახლა დემოკრატიული ილიუზიების დროებით გაძლიერებას. ახლანდელ საფრანგეთში თითქმის არ არის უმუშევრობა, სიღარიბე მუშებს შორის აქ შედარებით ნაკლებია, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოში. საფრანგეთის მრეწველობის ზოგიერთი დარგები (ავტომობილების წარმოება, ლითონის საგნების დამზადება) განვითარების და აყვავების პერიოდში იმყოფებიან.

საფრანგეთის მილიტარიზმი ყველაზე საშიშია ევროპაში. საფრანგეთის კაპიტალიზმი დაავადმყოფებულია, დასნეულებულია შიგნიდან, მაგრამ ამ ავადმყოფობას არ აქვს ისეთი საშიში ფორმები, როგორიც სხვა ქვეყნებში.

ამ ღრმა მიზეზებით აიხსნება „დემოკრატიის“ და „სოციალური ზავის“ მქადაგებელ სოციალისტების გავლენა.

მაგრამ ეს გავლენა გაქრება.

რადგან, ისევე როგორც გერმანიაში, მაგრამ უფრო ძლიერათ გამოსახული საფრანგეთის არჩევნები არ არის ქვეყნის სოციალური ძალების ურთიერთ დამოკიდებულების ნამდვილი გამომხატველი, აქედან ჩვენ ვხედავთ საარჩევნო უფლების მთელი სისტემის აშკარა უაზრობას.

პრობლემა უფრო ღრმად სდგას და ის უფრო დიდი წონის პრობლემაა. მემარცხენე ბლოკს გამარჯვება მიანიჭეს საშუალო ფენებმა; მათ ეხლა ყავთ თავისი საპარლამენტო უმრავლესობა და ეყოლებათ თავის სამინისტროც. მაგრამ საფრანგეთის მძიმე მრეწველობა და საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალი წინანდებურად რჩება ისეთ ძალათ, რომელიც უფრო მძლავრი, შეკავშირებული, ინტელიგენტური და უკეთესად შეიარაღებულია, ვიდრე წვრილი ბურჟუაზია. და მის მიერ წამოყენებული პირები და აი, ერრიო—ლეონ ბლიუმის მომავალი კაბინეტის (ერთი იქნება ესტრადაზე, მეორე კი კულისებში იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ, ე. ი. მოატყუონ თავისი გულკეთილი, მაგრამ მუშათა პრინციპის მომხრე მიმდევრები) მთელი ჯამბაზური ხელოვნება გამოიხატება იმაში, რომ ისინი „პატარა ხალხის“ გულის მოსაგებათ დაადგებიან მემარცხენე პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს ისინი შეეცდებიან მაინცადამაინც არ გააბრაზონ მსხვილი ბურჟუაზია. ეს გაგრძელდება რამოდენიმე ხანს, სანამ არ გაჰქრება „პატარა ხალხის“ ილიუზიები, იმ ხალხის, რომელთაც ამას წინათ ხმა მისცეს მემარცხენე ბლოკს.

ის ცოტა რამ, რაც ჩვენ ვიცით, ერრიო-პენლევე-ბრიან-ლეონ ბლიუმ-პოლ ბონკურ-რენოდელის მომავალ კაბინეტის განზრახვების შესახებ, საშუალებას გვაძლევს ჩვენ ვიწინასწარმეტყველოთ, რომ საფრანგეთის მუშათა კლასის აღზრდა ეხლა უფრო ჩქარი ტემპით წავა. ეხლა უკვე ლაპარაკი სწარმოებს არა საბჭოთა მთავრობის უშუალო ცნობის შესახებ, არამედ მხოლოდ სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე მოსკოვთან. მემარცხენე ბლოკის პოლიტიკა კიდევ უფრო ღია ვარდის ფერი იქნება, ვიდრე მაკდონალდის პოლიტიკა; და როდესაც ის მიაღწევს თავის „რადიკალურ“ მწვერვალს—მაშინ ის იქნება ლლოიდ-ჯორჯის მირონცხებულ ლიბერალიზმის დონეზე.

მოვახერხებთ თუ არა ჩვენ ამნისტიის მიღებას კლემანსოს და სამხედრო ტრიბუნალების რეჟიმის მსხვერპლთათვის? უფლება მიეცემა თუ არა საფრანგეთის კომუნისტებს, რომლებიც რუსეთში სცხოვრობენ—სადულის, პასკალის, გილბოს, ბოდის, პტის და მორშოს მთელ ამ მამაცრაზმს—დაბრუნდეს საფრანგეთში? გამოშვებული იქნებიან თუ არა ციხიდან გასტონ როლლანი, კოტტენი, ჟაპნა მორანი, ლანდაუ, გოლდსკი? ჩვენი პარტია, რომელიც წინდაწინ გრძნობს მემარცხენე ბლოკის პოლიტიკოსების ხრიკებს, მოვალეა მოითხოვოს ამნისტიის გატარება ფართო საფუძვლებზე, რადგან მომავალ მთავრობას განზრახვა აქვს ამნისტიის მაგივრათ დაარიგოს თვითნებურათ ცალ-ცალკე „პატიების აქტები“.

გადადგება თუ არა პუანკარე და მის შემდეგ მილიერანი? ჯერ ამის შესახებ არაფერი ვიცით.

განთავისუფლებული იქნება თუ არა რურის ოლქი?—მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრანგეთი მიიღებს საკმაო გარანტიებს, როგორც ეს პენლევემაც სთქვა. მისი ფორმულა ასეთია: „ჩვენ გერმანიის მიმართ ვიქნებით სამართლიანი და ვილაპარაკებთ შემარიგებელი ტონით, მაგრამ ჩვენ მსხვერპლათ არ გავიღებთ ჩვენს სამართლიან ინტერესებს“.

რას უნდა გამოხატავდეს ეს? შეიძლება—არაფერს, შეიძლება კი ის გამოხატავს იმას, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია საფრანგეთზე მოახდენს მსუბუქ „დაწოლას“ იმ მიზნით, რომ აიძულოს ის მიიღოს ექსპერტთა დასკვნა.

ფრანკიც აგრეთვე ვერ არის მტკიცე საფუძველზე დამყარებული. გააუქმებენ თუ არა, მისი მერყეულ მდგომარეობის გამოსასწორებლათ, მომხმარებელთა დაბეგვრას და დაბეგრავენ თუ არა მარტო კაპიტალს? ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგში.

ამბების განვითარება ჩქარის ტემპით წავა.

მ. ა.

პარიზი, 24 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებს, ქვრივებს და ობლებს, ომის ინვალიდებს და სხვა გაჭირვებულებს მიეცა დახმარება სათესლე მასალით—2805 ფ. ხორბალი. ხარის პატრონებმა მოუხნეს და დაუფარცხეს უხარობებს—348 დესეტინა მიწა.—მოვათავსეთ დავრდომილთა სახლში—4 გლეხი, სამკურნალო დახმარებაზე გავცით—1.200 მან. გავხსენით ფართლეულობის დუქანი; საქონელი შევიძინეთ ნისიათ. გლეხებს იგი მივაწოდეთ გაცილებით შეღავათიან; პირობებში ვიდრე კოოპერატივმა.. ფართლის ოპერაციით გავიჩინეთ საკუთარი თანხა—1,200 მანეთამდე. ახალციხეში მოვაწყვეთ ბაკი ბინებით, 1 ივნისამდე ე. ი. 12 დღის განმავლობაში უფასოდ მიეცა ბინა—369 კაცს ამავე ხნის განმავლობაში ბაკში გატარდა 76 ფურგუნი, 25 ცხენი და 410 სხვა საქონელი.

ახალციხეში მოწყობილია გლეხკომის მეორე ტვირთმზიდავი კანტორა, რითაც გაუადვილეთ გლეხებს გადასაზიდი ტვირთის შოვა და ხელსაყრელ ქირის აღება. ზიკილიის სასოფლო გლეხკომი აკეთებს 2¼ ვერსის მანძილზე წყალსადენს. ამ არხის კეთება მალე დამთავრდება.

გლეხკომებს მოეპოებათ აგრეთვე 11 ბაღი, ზომით 16 დესეტინა. მათ30 გადაეცათ ცხრა დღიური მიწა კოლექტიური წესით დასამუშავებლათ. აღრიცხვაზე აყვანილი გვყავს 18 წითელარმიელის ოჯახი, 127 ომის ინვალიდი, 392 ქვრივ-ობოლი, 205 შრომის ინვალიდი და 830 გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხი.

წარმატებით ჩავატარეთ ხვნათესვის კამპანია. სამაზრო აღმასკომი და პარტკომი ენერგიულ დახმარებას გვიწევდნენ. გლეხკომების მუშაობა მათთან სრული შეთანხმებით მიმდინარეობდა. აღმასკომის დახმარება გამოიხატება დაახლოვებით 9000 მანეთამდე. 30 პენსიონერი აღმასკომის ხარჯზე გვყავდა. „ეპოსთან" გვქონდა უსიამოვნება.

კამათი ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებების გარშემო: ადგილებიდან მოხსენებების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. სეხნიაშვილმა, ქყონიამ (რაჭის დელეგატმა), ხარაბაძემ, დობროდოევმა სურგულაძემ, ხომერიკმა, ცინცაძემ, ათაბეგოვმა და სხვებმა.

ქუთაისის მაზრის გლეხკომები

(ამხ. ხარაბაძის მოხსენება)

ქუთაისის მაზრაში მოწყობილია სულ 468 გლეხთა კომიტეტი. მათ შორის 7 სარაიონოა და ერთიც სამაზრო. კომიტეტები აერთიანებს სულ 41.500 კომლს, რომლებიც იხდიან საწევრო გადასახადს. გლეხკომების მარაგის შესახებ სრული ცნობები არ მაქვს. ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები. 2 ნახ. რაიონში გლეხკომების მარაგი შესდგება:

სიმინდი—8.390 ფ. 19 გირ., ღვინო—1192 ფ., ფულად—221 მან. 50 კ. ამავე რაიონებში მოსაგროვებელია: სიმინდი—3.791 ფ. 9 გირ., ღვინო—1.797 ფ. თუმც ხელთ არ მაქვს დაწვრილებითი ანგარიში, მაგრამ მაინც შემიძლია ვსთქვა, რომ მთელი ქუთაისის მაზრაში გლეხკომებს დაახლოვებით ექნებათ 25.000 ფ. სიმინდი და ამდენივე ღვინო.—სამაზრო გლეხკომის მოქმედება ასეთია. საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარება აღმოუჩინეთ 17 ოჯახს, სტიქიურ უბედურების შემთხვევის გამო, ფულადი დახმარება გავეცით—107 მან., სიმინდით—65 ფ. დახმარება წამლებით—175 პირს. საავადმყოფოში მოვათავსეთ ჩვენს ხარჯზე—11 კაცი. გლეხკომის წევრებს მრავალ თემებში წამლები ეძლევათ ადგილობრივ აფთიაქებიდან. ეს საქმე დაზღვევის მსგავსად გვაქვს მოწყობილი. თებერვალში ქუთაისში გავხსენით გლეხთა სასახლე 10 საწოლით. სასახლესთან არსებობს სამკითხველო და იურიდიული ბიურო. სასახლეში უფასოდ გაათია ღამე სულ 443 გლეხმა. უფასოდ დაუწერეს თხოვნა და მისცეს საჭირო რჩევა-დარიგება 104 კაცს. ყოველდღიურად სასახლეში მორიგეობს საოლქო სასამართლოს წევრი. სამაზრო გლეხკომმა ჩაიბარა აგრეთვე შემდეგი აბანოები თავის შენობებით და ინვენტარით: კურსების, ხრესილის, ზეკრის, დვალიშვილების, ჭოკიანის, საირმე მთის მჟავე წყალი, და ჩირგეთის ორი აბანო. ვაწარმოებთ ყველა ამ აბანოების შეკეთებას.

აპრილის შუა რიცხვებში მაზრის გლეხკომმა შეიძინა თბილისში 1.000 ფ. შაბიამანი და 150 ფ. გოგირდი, რომლებიც გავანაწილეთ კოოპერატივების საშუალებით—შაბიამანი 8 მანეთი, ხოლო გოგირდი 4 მანეთი.

რაჭის მაზრის გლეხკომები.

(ამხ. ქყონიას მოხსენება).

რაჭა, როგორც მოგეხსენებათ, ულარიბეს მაზრას წარმოადგენს. მიწის ნაკლებობამ გლეხკომების მუშაობაზედაც მოახდინა გავლენა. თვითდაბეგვრა, როგორც ამას რიგი და წესი მოითხოვს, ვერ ჩავატარეთ. ჩვენი მუშაობა სინამდვილეში იწყება 1-ლ დეკემბრიდან. რაჭაში სულ დაარსებულია 61 გლეხთა კომიტეტი. მოწყობილია აგრეთვე სამაზრო გლეხკომები—მთელ მაზრაში ჩვენი მარაგი შესდგება 2500 ფუთი სიმინდისაგან. სალსრების უქონლობის გამო, წარმოების მოწყობა ვერ შევძელით. ადგილობრივი აღმასკომი დიდი თანაგრძნობით ეკიდება გლეხკომების საქმეს, მაგრამ მასაც არა აქვს სალსარი. რაჭაში აუარებელი ქვრივ-ობლები და ინვალიდებია; სამწუხაროთ მათ ვერაფრით ვერ ვეხმარებით. 6 თვის განმავლობაში ფულადი დახმარება აღმოუჩინეთ 27 კაცს—103 მან. საექიმო დახმარებაზე გავეცით—238 მან. ულარიბეს გლეხებს მივეცით აგრეთვე 260 ძირი ხე. აღმასკომმა გადმოგვცა ხუთასი მანეთი ფულად და 500 ფ. სიმინდი.

ამ თათბირმა უნდა გამონახოს საშუალება რაჭის დასახმარებლად.

დუშეთის მაზრის გლეხკომები.

(ამხ. ქარელიძის მოხსენება).

მაზრაში დაარსებულია 52 სასოფლო, 7 სათემო და ერთი სამაზრო გლეხთა კომიტეტი. საქმეები ჩავიბარე ორი კვირის წინად. გამოურკვეველია გლეხკომების მარაგის რაოდენობა. საქმეების ჩაბარების დროს 118 გაურჩეველი ქაღალდები დამხვდა. აღრიცხვაზე აყვანილია 113 ომის და შრომის ინვალიდი. ხორბალი შეგროვილია 2.000 ფუთამდე, გლეხებს გადაეცათ საფონდო მიწები. ბაზალეთის რაიონში გლეხკომებს 100 სულამდე ცხვარი ჰყავს. თუ რამდენია გაწეული დახმარება მაზრის ფარგლებში, ცნობები არ მაქვს. ვიცი მხოლოდ, რომ დაურიგებიათ ამერიკული ტანსაცმელი 208 მან. და ფულად წითელ-არმიელთა ოჯახებისათვის გაუციათ—28 მან. მაზრაში ჩაუტარებიათ კვირეული, მაგრამ არ სჩანს რამდენი ყოფილა შემოსავალი.

—საერთოთ უნდა ითქვას, რომ დუშეთში მეტად სუსტად უწარმოებიათ მუშაობა.

რკინის გზა ახალსენაკსა და ზუგდიდს შორის

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოში შემოსულია მოხსენება ხეთის რკინისგზის აღდგენის შესახებ. ეს შტო ამჟამათ უმოქმედოთაა ხიდეების უვარგისობის გამო. ხიდეების შესაკეთებლათ საჭიროა 600.000 მანეთი. აღძრულია, აგრეთვე, საკითხი ამ შტოს გაგრძელებისათვის ზუგდიდამდე, რაც წინასწარი ანგარიშით უნდა დაჯდეს ერთი მილიონი მანეთი. სამმართველოს აზრით, ამ საქმის შესრულება სრულიათ დროულია, რადგან მოსკოვში უკვე გადადებულია შავი ზღვის რკინისგზის (ტუაფსედან სოჭამდე) გაყვანისათვის საჭირო თანხა და საამისო მუშაობა უკვე სწარმოებს. პროექტის მიხედვით შავი ზღვის რკინისგზამ უნდა გაიაროს ზუგდიდზე და არსებულ ხაზს შეურთდეს ახალსენაკში, რის გამო ხეთის შტოს გაგრძელება ზუგდიდამდე დააჩქარებს შავი ზღვის რკინის გზის დამთავრებას.

წითელ ჯარში

ახალგაზრდები მოდიან წითელ ჯარში

(მუშაობა მაზრებში)

მიმღები კომისიების მუშაობა ყველა მაზრებში მიმდინარეობს საუცხოვოდ. თბილისის, ქუთაისის და გორის მიმღებ პუნქტებში მუშაობენ ორ ორი მიმღები კომისიები, დანარჩენ მაზრებში კი მუშაობენ თითო-თითო ვიხიდან ზემოთ აღნიშნულ სამ ქალაქში შედიან მაზრებიც და ჯარში გასაწვევთა რიცხვი ბევრად მეტია სხვა მაზრებთან შედარებით.

ჯარში გასაწვევი სოფლის მშრომელი ახალგაზრდობის შორის აღსანიშნავია განსაკუთრებული ხალისი და აღფრთოვანება წითელ ჯარში სამსახურის. ისინი ერთ ორ დღით დანიშნულ დროზე უფრო ადრე ცხადდებიან დანიშნულისამებრ. ჩამწკრივებულ რიგებში დაწყობილნი, წითელი დროშები თვით ახალგაზრდობის ინიციატივით შედგენილი ლოზუნგებით, საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.

აი, რამოდენიმე ნაწყვეტი თვით ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობის მიერ შედგენილი ლოზუნგებიდან რომლებიც ამშვენებენ დროშებს: „ჩვენ უარს ვაცხადებთ საექიმო კომისიის გაშინჯვაზე", „ჩვენ გვინდა წითელ ჯარში სამსახური, იქ წითელ ყაზარმებში სამხედრო საქმის შესწავლა და პოლიტიკურ-კულტურული სკოლის გავლა", გაუმარჯოს მუშურგლეხურ წითელ არმიას", „წითელი არმიის მახვილი მსოფლიო ფაშიზმს".

აი, როგორი განწყობილებაა ჯარში გასაწვევ სოფლის მშრომელ ახალგაზრდობას შორის.

ეს ერთხელ კიდევ ზედმეტათ ამტკიცებს მშრომელ ახალგაზრდობის რევოლიუციონურ სიმწიფეს, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულებას მის მზადყოფნას ბრძოლისათვის რევოლიუციის მონაპოვარის შესანარჩუნებლათ, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დასაცავად.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობამდე განა ყოფილა ჯარში გასაწვევთა შორის ასეთი განწყობილება?—ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. და ეს სულ ადვილათ ასახსნელია. დღეს მშრომელ ახალგაზრდობას აქვს შეგნებული, თუ ვის საქმეს აკეთებს ის, რისთვის არის საჭირო წითელი ჯარი და სხვა. ამიტომ მოდის ის ასე შეგნებულად, დიდი აღფრთოვანებით წითელ ჯარის რიგებში.

ქ. გვალია.

—

— **ქართულ სამხედრო კოოპერატივში.** მაისის შუა რიცხვებიდან ქართულ მთლიან სამხ. კოოპერატივში სწარმოებს თავისუფალ წევრთა ჩაწერა. ჯარში ახალი წვეულები დიდის ინტერესით ეწერებიან კოოპერატივში.

— **წიგნების განაწილება სამხედრო ნაწილებში.** მიმდინარე წლის განმავლობაში ქართ. დივიზ. ბაზა-კოლექტორმა მიიღო და გაანაწილა 1,400 ცალი ქართული და 7,000 რუსული წიგნი.

— **საბიბლიოთეკო ჟურნალი.** ქართ. დივიზიის საბიბლიოთეკო საბჭოს განზრახული აქვს გამოსცეს ქართულ ენაზე ჟურნალი საბიბლიოთეკო საკითხების გასაშუქებლად.

— **საბიბლიოთეკო გამოფენა.** უკვე გაიხსნა წითელ-არმიელთა ცენტრ. კლუბში საბიბლიოთეკო საქმეთა საანგარიშო გამოფენა.

მეცნიერება-ტექნიკა

ომი მომავალში

მომავალ ომს უსასტიკესი კლასობრივი ბრძოლის ხასიათი ექნება ამ ომის შედეგებზე უდიდესი გავლენა ექნება უკანასკნელ აღმოჩენებს ქიმიის დარგში და ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ქიმია სამხედრო საქმეში უფრო მნიშვნელოვან გადატრიალებასმოახ დენს ვიდრე თოფის წამლისა და სწრაფსროლელი თოფების გამოგონება. თუ წინათ ომების დროს შეიარაღებული იყო ხალხის ნაწილი, მეორე ნაწილი კი სამხარ იარაღს, სურსათ-სანოვაგესა და სხვა საჭირო მასალებს ამზადებდა ბრძოლაში უშუალოდ მონაწილე მებრძოლებისათვის, ახლა შეიარაღებული უნდა იქნას მთელი ხალხი, რადგან ავიაციის და სამხედრო ქიმიის განვითარება შესაძლებლად ხდის მოწინააღმდეგის თავდასხმას ფრონტის ფაქტიური ხაზიდან შორეულ მანძილზე. ასეთი საფრთხე განსაკუთრებით მოელის მრეწველობისა და ადმინისტრატიულ მსხვილ ცენტრებს.

უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს ხმარობდენ ე. წ. მხრჩოლავ გაზებს. ახლა კი აღმოჩენილია მრავალი მომშხამავი ნივთიერებანი, როგორც თხელი ისე მაგარი სახის. აღმოჩენილია გაზები,რომლებიც არა თუ სწამლავენ ორგანიზმს, არამედ შორეულ მანძილზე სწვავენ მთელს კანს ადამიანის ტანზე.

კაპიტალისტური მსოფლიო გაცხოველებულ მზადებას აწარმოებს ახალი ომისათვის.

ამხ. ტროცკიმ სთქვა, რომ ყველაზე ფხიზლად კაპიტალისტური მსოფლიოს შეიარაღებას თვალყურს საბჭოთა კავშირის მშრომლები უნდა ადევნებდენო, რადგან მშრომელთა სახელმწიფო ყველაზე მეტ სიძულვილს იწვევს იმპერიალიზმის ყაჩაღებში.

თუ მშრომელთა სახელმწიფოს მტრებმა ჩვენზე თავდასხმა გაბედეს ისინი შეეცდებიან პირველ რიგში გაანადგურონ ჩვენი სამრეწველო ცენტრები, ტრანსპორტი.

ამიტომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უნდა შექმნან თავისი ქიმია, საკუთარი ქიმიური მრეწველობა.

ბრძოლა გაზებით



გაზით სავსე ბალონების დადგმა სანგრებში.

გაზი მოქმედობს.

ყველაზედ მაღალი სახლი მსოფლიოში

მსოფლიო ომის დროს ამერიკის მრეწველობა ძლიერ აყვავდა, ვაჭრობა არაჩვეულებრივათ გაიზარდა. ქალაქებში მოსახლეობის რიცხვი ერთიორათ გადიოდა. აუარებელი ახალი სახლები შენდება ამერიკის მსხვილ ქალაქებში. მიწა ძლიერ გაძვირდა—კვადრატიული მეტრი 12000 მანეთი ღირს. ეს იწვევს მაღალი, მრავალსართულიანი სახლების აშენებას, რადგან ჰაერზე გადასახადი ჯერ არ არის დაწესებული კაპიტალისტურ ქვეყნებში.

თუ რა სიმაღლეს მიაღწიეს მრავალსართულიანი სახლების აშენებაში, გვიჩვენებს სურათი, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი.

ეს სურათი წარმოადგენს შედარებითი სიდიდეს შემდეგი შენობებისას: ჩვეულებრივი ხუთ სართულიანი სახლი, იოანე დიდის სამრეკლო მოსკოვში შაბოლევის მძლავრი რადიოსადგურის ანძა (მოსკოვში) და მსოფლიოში უმაღლესი სახლი (ნიუ-იორკში). ციფრები მეტრებს გვიჩვენებენ, როგორც შედარებითი სიდიდიდან სჩანს ამ სახლის სიმაღლე 240 მეტრს უდრის (113 საჟენს), მაგრამ ფაქტიურად ეს სახლი უფრო მაღალია, რადგან მისი ფუნდამენტი 40 მეტრამდი აღწევს მიწაში.

მისი აშენება ვულვორტის ფირმას, რომელსაც ის ეკუთვნის 9,000,000 მ. დაუჯდა.

ამ შენობაში 55 სართულია. თითო კაცს რომ ამ შენობაში საცხოვრებრებლათ 20 კვ. არშინი დაეთმოს—ის 3600 კაცს დაიტევს.

ქრონიკა

■ **კუდიანი ქარი თბილისში.** 11 ივნისს საღამოს 7 ნახ. საათზე თბილისში ამოვარდა ძლიერი (კუდიანი) ქარი, რომელიც ერთი საათის განმავლობაში არაჩვეულებრივი სიძლავრით ქროდა. ქალაქის განაპირა ადგილებში სახლებს—ააგლიჯა სახურავები და ჩალეწა ფანჯრის მინები. დასწყვიტა ტელეგრაფის მავთულები, ვერის დაღმართზე დაანარცხა ორი ქალი, ქარმა ქუჩებში დააყენა საშინელი კორიანტელი და ნახევარი საათის განმავლობაში ქუჩაში შეუძლებელი გახდა გამოსვლა. ამავე ხნის განმავლობაში ანათებდა „მკვდართა მზე" წვიმა არ ყოფილა.

■ **„ხორცით მოვაჭრე საზოგადოება".** ა.კ. უმაღ. ეკონომ. საბჭომ დაამტკიცა „ხორცით მოვაჭრე" საზოგადოების წესდება. უახლოეს მომავალში შესდგება ამ საზოგადოების წარმომადგენელთა თათბირი.

ფასების დაკლება ტყავეულობაზე. ტყავეულობის სინდიკატმა ტყავეულობის ნაწარმოებზე ფასები დაუკლო 5—9 პროცენტამდე.

■ **საგლეხო სესხის განაღდება.** საგლეხო სესხის განმანაღდებელ რესპუბლიკანურ კომისიის მომართვის თანახმად ცეკავშირმა თავის თავზე მიიღო 50,000 მან. საგლეხო სესხის განაწილება.

■ **პურის მოსავალი.** სიღნაღის მაზრაში უკანასკნელ ხანს მოვიდა წვიმები. ყანები უკვე ზოგიერთ ალაგას მოწეულია. პურის მოსავალი წელს საშუალოზე ნაკლები იქნება.

■ **დახმარება ანაგის სახალხო სახლს.** ცეკავშირმა ანაგის (სიღნაღის მაზრა) ახლად აშენებულ სახალხო სახლს დახმარების სახით გადასცა 30 მანეთი.

■ **სავაჭრო ფასების გამომრკვევ კომისიაში.** მუშათა და გლეხთა ინსპექციის სავაჭრო ფასების გამომრკვევ კომისიაში ცეკავშირმა თავის წარმომადგენლად დანიშნა ამხ. ლოსკუტოვი.

■ **ხორცის ბაზრის მოწესრიგება.** შინავაჭრობის კომისარიატმა ხორცის ბაზრის მოწესრიგების მიზნით განიზრახა თბილისში, ბაქოში და ერივანში მოაწყოს ხორცის სავაჭრო დიდი მაღაზია.

■ **ციებ-ცხელებასთან საბრძოლველათ.** ა|კ. უმაღ. ეკონომ. საბჭომ ამიერ-კავკასიაში გავრცელებულ ციებ-ცხელებასთან საბრძოლველათ გადასდო 100,000 მან. ეს თანხა გადადებული იქნება ა|კ. რესპუბლიკების შორის.

■ **ზაჰესკომის რწმუნებული.** ზაჰესკომის რწმუნებულათ ზემო-ავჭალაში ქ. აღმასკომის მიერ დაინიშნა ამხ. ვაშაკიძე.

■ **გორის აღსადგენათ.** გორის აღმდგენ კომიტეტს ქ. აღმასკომმა ერთდროული დახმარების სახით მისცა 500 მან

■ **ქ. აღმასკომის პლენუმი.** ქ. აღმასკომის საბჭოს პლენუმი დანიშნულია 16 ივნის, სხვადასხვა საკითხთა შორის მოხსენილი და გარჩეული იქნება მოხსენება კოოპერაციის შესახებ.

■ **სამკურნალო მცენარეულების საცდელ საჩვენებელი სადგური.** აჭარის ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა აჭარაში მოაწყოს სამკურნალო მცენარეულობის საცდელ-საჩვენებელი სადგური.

■ **წერა-კითხვის უცოდინარეობის მოსასპობად.** მთავარ პოლიტმართველობის ცნობით ამ ჟამად აჭარაში წერაკითხვის უცოდინარობის მოსასპობად არსებობს 48 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 1,480 კაცი.

■ **დამზღვევი კასის ფურცლების შევსება.** დამზღვევი კასის პრეზიდიუმი აცხადებს, თბილისის ყველა ქარხკომები და საერთოდ ყველა დაწესებულებების საყურადღებოდ, რომ დამზღ. კასის ბიულეტენები უნდა შევსებულ იქნას სრულიად და ყველა დასმულ კითხვებზე სათანადო პასუხი იქნას გაცემული.

■ **მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა.** დამზღვევმა კასამ მაისის თვის განმავლობაში დახმარება გაუწია—3.893 მუშა-მოსამსახურეს, რის საჭიროებისთვისაც გაიღო ფულად—41.419 მ. 84. კ.

■ **სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დაზღვევა.** წარმოკავშირს 1924 წ. განმავლობაში, განზრახვა აქვს, დააზღვიოს 100 ვაგონი ხილი, 100 ვაგონი ღვინო, 60 ვაგონი კვერცხი და 40 ვაგონი მატყლი.

■ **მოწაფეთა კონფერენცია.** განათ. კომ. თელავიდან მიიღო მისასალმებელი დეპეშა: თელავის მოწაფეთა პირველ კონფერენციამ განათლების კომისარიატს მხურვალეთ ესალმება და უსურვებს ახალ სკოლის პრინციპების მთლიანათ გატარებას.

■ **სასწავლო პროგრამები სპეციალურ ტექნიკუმებისათვის.** პროფტექნიკურ მთავარი გამგეობა ამ ჟამად იმუშავებს სპეციალურ ტექნიკუმებისათვის ახალ სასწავლო პროგრამებს და დებულებებს ტეხნიკუმებისას, მოწაფეთა კომიტეტებისა და პედაგოგიურ საბჭოებისათვის.

■ **სოციალურ-ეკონომიური ტეხნიკუმები.** პროფტეხნიკური განათლების მთავარი გამგეობა შეუდგა ჰუმანიტარულ ტეხნიკუმების დარჩენილ კლასების გადაჯგუფებას და იმუშავებს ახალ სასწავლო გეგმას ახალ ტიპის სოციალურ-ეკონომიურ ტეხნიკუმებისათვის. ასეთი ტეხნიკუმი განზრახულია გაიხსნას 1 თბილისში, 1 თელავში და 1 ქუთაისში.

■ **ახალი სკოლები.** განზრახულია მომავალ სასწავლო წლისათვის ახალქალაქის მაზრაში 17 ახალი სკოლა.

ხელოვნება

ლენინის სახელ. კლუბში

7 ივნისს გაიხსნა ბაღი ლენინის სახელობის კლუბში; ბაღი შარშანდელთან შედარებით გალამაზებულია, გაფართოებულია, ჩარგულია ბლომად ხეხილი და მცენარეულობა; შეკეთებულია საზაფხულო სცენა და სამკითხველო; ბაღი თავის შეხედულობით კარგს შთაბეჭდილებას ახდენს; ეტყობა, რომ კლუბის გამგეობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა ყოველ წელს ბაღი უფრო და უფრო გამშვენიერდეს.

ამ საღამოს დაიწყო სიმფონიური კონცერტები სტოლერმანის ხელმძღვანელობით. ასეთი მაესტრო, როგორიც არის სტოლერმანი, დიდს განძს წარმოადგენს მუშათა კლუბისათვის, რადგანაც ზაფხულის განმავლობაში ჩვენს მუშებს ექნებათ შეძლება სტოლერმანის ხელმძღვანელობით მოისმინონ დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებნი. ყველა ნომრები სიმფონიური კონცერტისა შესრულებულ იქნა მხატვრულად, რაც მიეწერება სტოლერმანის დიდს მუსიკალურ ნიჭს.

კარგი იქნება, რომ სიმფონიურ კონცერტების პროგრამაში შეტანილ იქნეს ქართველი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებნი, როგორიც არის ზაქ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ბალანჩივაძის, სულხანიშვილის და სხ. კარგია რომ ჩვენი მუშები ისმენენ ევროპიულ და რუსეთის კომპოზიტორებს, მაგრამ სასურველია, რომ ქართული მუსიკაც იყოს გადმოცემული, რადგანაც ეს უფრო გასაგებია ჩვენთვის. აღსანიშნავია რომ კლუბის ბაღში დაცულია სისუფთავე, წესიერება, რაც მიეწერება გამგეობის უნარიანობას.

მუშკორი მელითონე.

—

— **კლუბი მუშებისათვის ზემო-ავჭალაში.** ზემო-ავჭალის წყალით მამოძრავებელ სადგურთან ამ ჟამად ეწყობა მუშებისათვის კლუბი-თეატრი, რომელიც დაიტევს 1000 კაცზე მეტს.

— **დახმარება პროლეტკულტს.** ა|კ. უმაღ. ეკონომ. საბჭომ გადასწყვიტა აღმოუჩინოს ყოველთვიური დახმარება საქართველოს პროლეტკულტს.

— **კონ. ჭიჭინაძის ლექსების წიგნი.** 15 ივნისისათვის გამოვა კ. ჭიჭინაძის რჩეული ლექსების წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია პოემები: „მოგზაურობა ანთებით" და „რიონის აპოლოგია". წიგნი იქნება 86 გვ. და ეღირება 1 მან.

— **დოღი და რბენა.** კვირას, 15 ივნის დიდუბეში გაიმართება დოღი და რბენა.

— **სახალხო კონცერტები.** თბილისის სახალხო გუნდი მიხეილ კავსაძეს ლოტბარობით და ალექსანდრე კავსაძის მონაწილეობით, მოკლე ხანში გამართავს კონცერტებს. გუნდის პროგრამაში შევა ყველა კუთხის სახალხო და ახლო რევოლიუციონური სიმღერები.

■ **სიმფონიური კონცერტი.** პროფსაბჭოს საზაფხულო კლუბში (სოლოლაკის ქ. № 13). დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

პროვინციაში

დაბა ხარაგოული (შორაპნის მაზრა)

მალე ორი თვე შესრულდება, რაც ხარაგოულის რაიონში, ისევე როგორც მთელ შორაპნის მაზრაში, წვიმები არ მოსულა. გლეხობა საგონებელშია ჩავარდნილი და უიმედოთ შეჰყურებს მომავალს. გვალვის გამო სათესი ადგილების საკმაო დიდი სივრცე დაუხნავი დარჩა. ნათესებიც გაფუჭებულია და თუ ცოტახნით კიდევ გაგრძელდა ასეთი ამინდები, წრევანდელი მოსავალი სავსებით დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს. მოსავლით ყოველთვის ღარიბ მოსახლეობას ამ ჟამადაც აკლია სიმინდი, რომლის ფასებმა უამინდობის გამო უკვე საგრძნობლათ აიწია.

ამ დღეებში სოფელ თეთრაწყაროში ხუზარით ავადმყოფი საქონელი დაუკლავთ და მეპატრონეს ხორცი მეზობლლებში გაუყიდია. როგორც მეპატრონე ვეფხაძეს ისე მყიდველებს ხუზარა გადასდებიათ და ამჟამად 8 ადამიანის სიცოცხლე განსაცდელშია ჩავარდნილი. ავადმყოფებს დახმარებას უწევს ადგილობრივი ექიმი. მაზრიდან მოვიდა ბეითალი, რომელიც აპირებს საქონლის აცრას. საჭიროა სასწრაფო ზომები რათა ეს საშინელი ავადმყოფობა არ გავრცელდეს რაიონში და მთელს მაზრაში.

ადგილობრივ სასოფლო სასწავლებლებში მოწაფეთა მეტად დიდი პროცენტი იქნა დატოვილი მეორე წლით იმავე კლასში. ზოგიერთ ჯგუფებში დატოვილია მოწაფეთა საერთო რიცხვიდან ორი მესამედი, ანდა წინადადება აქვთ მიცემული მომზადებისთვის. ღარიბ მოსახლეობას კი საშუალება არ აქვს ცალკე ხარჯები გაიღოს თავის შვილების კერძოთ მოსამზადებლად. ასეთ მდგომარეობასთან სკოლებში პირველათ გვაქვს საქმე და ის დიდ უკმაყოფილებას იწვევს მოსწავლეთა მშობლებში.

ადგილობრივი.

გვალვა ზემო ქართლში

აქ საშინელი გვალვებია, რომელმაც ლამის მთლად ამოაგდოს მოსავალი და ცარიელზე დასვას გლეხკაცი.

მთელი შემოდგომა და ზამთარი ქართლში ისე გავიდა, რომ არამც თუ თოვლი, ხეირიანი წვიმაც კი არ მოსულა, გაზაფხულდა და უარესი დაემართა აქაურობას. ისე განვლო აპრილმა და მაისმა, რომ ნამი არ გადმოვარდნილა. მიწა გახმა, ამოიფიტა, ნათესი ერთ ადგილს გაჩერდა და არამც თუ გაიზარდა და თავთავი არ გაიკეთა, ორ გოჯის სიმაღლესაც კი ვერ გასცილდა, გაყვითლდა და მოიტრუსა. გულგატეხილმა გლეხკაცობამ ბევრს ადგილას ნათესებში უკვე საქონელიც კი შეუშვა და აძოვებს, რათა ცოტათ მაინც ისარგებლოს თავისი გადამწვარი ნახნავ-ნათესით. ასეთი საზარელი სურათია თითქმის მთელს ქართლში, მცირე გამონაკლისით იმ ადგილებისა, სადაც სარწყავი მამულებია. აქ ხალხი რწყავს მამულებს, რაცკი შეუძლიან. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ წყალი ყველას ვეღარა ჰყოფნის, რადგან ბევრს ადგილებში, ბევრი ხნის დაუდევრობის გამო, არხები გაუწმენდავი და შეუკეთებელია და აი სწორედ ამის გამო წყალს ერთი სოფელი მეორეს ედავება, ერთი მოსახლეობა მეორე მოსახლეობას და იმართება დაუსრულებელი ჩხუბი და ორომტრიალი. ასეთი ამბავი დატრიალდა ამ დღეებში დირბის თემში. სოფ. ბრეთსა და საღოლაშენს უძველეს დროიდან მდინარე ლიახვიდან არხით ჰქონდათ გამოყვანილი წყალი და ამითი სარგებლობდნენ, მაგრამ ეხლა ამ გვალვიანობისას სოფ. ძლევისჯვარს, რომელიც ამ სოფლების წინ მდებარეობს და რომლის არხიც უყურადღებობისა გამო გამოუსადეგარი გამხდარა, გადუგდიათ ბრეთელების არხიდგან წყალი და სულ თავიანთ სოფელში წაუყვანიათ. უწყლოთ დარჩენილი ბრეთი აგერ ერთი თვეა ედავება იმათ თავისს საკუთარს არხს, მაგრამ ამაოდ, ძლევისჯვრეთელები ჯიუტობენ და სრულიად არ აძლევენ ბრეთელებს თავიანთ არხის წყალს. აი, ამ უკანასკნელ სოფლის მცხოვრებთა და ძლევის ჯვრელებს შორის რამდენჯერმე მოხდა შეტაკება და უსიამოვნებანი. ასეთივე დავიდარაბაა და გაუთავებელი ჩხუბი სხვა სოფლებშიც. ამიტომ აუცილებლად საჭიროა გორის წყალთა გამაგრების განყოფილება საჩქაროდ ერეოდეს ხოლმე ამისთანა საქმეებში და აწესრიგებდეს ხოლმე საქმეებს, რათა ამისთანა დავიდარაბა აცილოს სოფელს და ისედაც მოუსავლობით შეწუხებული სოფელი უფრო არ დააზარალოს.

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია პურის მოსავლის საქმე ქართლში, მაგრამ სიმინდის მოსავალიც კარგს არაფერს გვიქადის. ურწყავ ადგილებში ზოგან არც კი ამოვიდა მიწიდან სიმინდი და როგორც ამოჰყო თავი, ისევე უმოძრაოდ სდგას და თუ მოკლე ხანში წვიმა არ მოვიდა, მასაც ასეთივე დღე დაადგება, რა დღეც განიცადა პურის მოსავალმა.

ასეთივე მოუსავლობა ეტყობა მეფუტკრეობასაც. წელს ფუტკარი არამც თუ მოსავალს არ მოგვცემს, ზოგს ადგილს თავსაც ვერ დაირჩენს და საჭირო შეიქნება მისი ხელოვნური კვება. საქმე იმაშია, რომ გვალვიანმა გაზაფხულმა ისეთი მშრალი ყვავილები მოიცა, რომელთაც სინესტე არ ჰქონდათ და რომელნიც უმრავლეს შემთხვევაში გამოუსადეგარნი იყვნენ ფუტკრისთვის. ამის გამო ბევრი გობაში ხელოვნურად კვებას შეუდგა შაქრის ფხვნილით.

მოუსავლობა ესეთივე შეეტყო ზემო ქართლის ბაზრებს. თუ აქნობამდის ქართლში პურის ფასი 80—90 კაპ. არ გასცილებია და სიმინდის 50 კ. ეხლა პური 1 მან. 80 კ. სასაშოვნელათ ძნელია და სიმინდი კიდევ 80 კაპ. და 1 მან. გარდა ამისა სოფლელებს ძალიან ნაკლებად შემოაქვთ გასასყიდათ ხორბლეულობა, რადგანაც ჰხედავენ სრულს მოუსავლობას და ეშინიათ თითონაც მშივრები არ დარჩნენ.

შირინბეი.

სასადილოა თუ სამიკიტნო

(ქ. სურამის გლეხკომის საყურადღებოდ)

უკვე ერთი თვე იქნება, რაც ქალ. სურამში გლეხკომმა გახსნა ე. წ. სასადილო. ასეთი სასადილო უნდა განირჩეოდეს სამიკიტნოსაგან. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამეს, ვხედავთ. რა ჯურის ხალხი გინდათ რომ ამ „სამიკიტნოდან" მთვრალი არ გამოდიოდეს, რა წამსაც გაიაროთ. რაშია საქმე! ჩვენ ვცდილობთ, რომ კერძო სამიკიტნოებიც მოვსპოთ, რომ ადგილი არ ჰქონდეს ასეთ გამათახსირებელ მოვლენას, როგორიცაა ლოთობა, და ნუ თუ ჩვენ უნდა ვაძლევდეთ ცუდ მაგალითს სხვას? მიაქციეთ, გლეხკომის გამგეობავ, ამას ჯეროვანი ყურადღება. ნუ თუ ვერ ამჩნევთ?

ი. გაგოშიძე.

პატარა ფელეტონი

ერთად ერთი და აუცილებელი!..

გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო ექსპერტთა გეგმა.
(გაზეთებიდან).

განახლდა მარქსის მთავრობა
შტაინახისა წესითა,
გერმანელ მუშებს ზურგს უწევს
ექსპერტთა გეგმის კვესითა,
თუმც დღეს გადააქვთ სიმძიმე
ვაებითა და კვნესითა,
მაგრამ ხვალ დღე იმუქრება
სიმძიმით, უარესითა!..
და აქ რა ჩემი საქმეა
თუმც სხვისი ჭკუის სწავლება,
მაგრამ ერთ ადგილს დგომას სჯობს
წინ ერთის ბიჯის წავლება,
მარქსის მთავრობას არ აწყენს
მრისხანეთ ხელის ჩავლება,
მუშებს თუ არ სურთ მათ ხარჯზე
მსგავსთა მცონართა მრავლება!.
ერთია ამ შემთხვევაში
რადიკალური წამალი,
მას ჰქვია: „მყვლეფელთ თავს ზარი
და აჯანყება, მამალი"!..
მას ნემეც მუშებს ვუსურვებ,
აქ რა მაქვს მე დასამალი?!
აქვთ მაზედ ჩემი თანხმობა
და ჩემი „დასტურლამალი"!

ონისიმე.

მიაქციეთ ყურადღება

(ქ. სენაკის კომუნალური განყოფ. საყურადღებოდ)

ქალ. სენაკს თითქმის შუაზე ჩამოუდის პატარა წყალი ფისუ, რომლის ნაპირებზე მოსახლეობენ მცხოვრებნი. ამ წყლით სარგებლობენ აქაური მცხოვრებთა შინაური ფრინველები და პირუტყვი.

აქ სისუფთავე არ არის დაცული. ამ წყალზე მყრალი სუნი აფუჭებს ჰაერს.

ამას მეტად ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული. მდ. ფისუში ხშირად ყრიან დახოცილ ფრინველთ, პირუტყვთ და სხვ., რომელნიც დიდხანს გდიან წყალზე და იქ ლპებიან, რაც მეტად ცუდ მდგომარეობას ქმნის. მაგალითად ივნისის დასაწყისში ვიღაცეებს ამ წყალში ჩაუყრიათ, მგონი სტრიხნინით, მოკლული ძაღლები, აქვე ჩაუსხამთ მაზუთიც; ყველა ამან არია პატარა წყალი, რომელიც იხმარეს ფრინველებმა: იხვებმა, ბატებმა და სხვა. შედეგათ მივიღეთ ის, რომ რამოდენიმე ოჯახს ამის მიზეზით ამოეხოცათ ფრინველები.

საჩქაროთ უნდა იქნეს ზომები მიღებული მდ. ფისუზე სისუფთავის დასაცავად. უნდა აეკრძალოს ყველას ამ წყალში როგორც მოკლული ცხოველების, ფრინველების, ისე ყოველგვარი ნაგავის გადაყრა. ასეთებისათვის შეგვიძლია სხვა ადგილები ვიშოვოთ: ძაღლები დავმარხოთ, ქალაქის ნაგავი კი „კაჰვებით" სადმე შორს გადავყაროთ. ჯანმრთელობის ინსპექტორმა და სანიტკომებმა ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ბაგრატ ურჩანეიშვილი.

ნაგომრის რაიონი (გურია)

ა. წ. 11 მაისს იქნა მოწვეული ნაგომრის რაიონის გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების კრება. კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ნაგ. რაიკომის პ.|მ. მდივანი ამხ. მაკარი ქილიფთარი, მდივნად—პრ. გუჯაბიძე. კრების დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) ამხ. კირ. უჯმაჯურიძის მოხსენება გლეხთა კომიტეტების მნიშვნელობაზე და მათ მიზნებზე, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) რაიონული გლეხკომების არჩევნები, 4) დელეგატების არჩევა მაზრაში გასაგზავნად, 5) სასადილოს და რაიონული სავაჭრო მაღაზიის გახსნის შესახებ და 6) მიმდინარე საკითხები.

პირველად მოხსენებას აკეთებს ნაგომრ. რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კირ. უჯმაჯურიძე და ესაუბრება კრებას გლეხთა კომიტეტების მნიშვნელობაზე და მათ მიზნებზე. მომხსენებელი ვრცლად ეხება აღნიშნულ კომიტეტების მოვალეობას, თუ რა უნდა აკეთონ მათ და ადარებს მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირებს გლეხთა კომიტეტებს. ამხ. მომხსენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინვალიდების და ქვრივ-ობლების დახმარების საკითხის მიზანშეწონილად მოგვარებას და მოუწოდებს კრებას ენერგიულ და ხალისიან მუშაობისაკენ.

ამხანაგი აუცილებელ საჭიროებად სცნობს რაიონული გლეხკომის დაარსებას და მასში ღირსეული და პატიოსანი მუშაკების არჩევას. მომხსენებელით კრება სავსებით კმაყოფილი რჩება.

კეთდება მოხსენებები ადგილებიდან: ნაგომრიდან, ძიმითიდან, ზომლეთიდან და აკეთიდან. თემგლეხკომების თავმჯდომარენი მოხსენებებში აღნიშნავენ ადგილობრივ მუშაობას და ანგარიშების ჯამებს; აგრეთვე ასახელებდენ დამაბრკოლებელ მიზეზებს მუშაობაში. ადგილებიდან მოხსენებებით კრება კმაყოფილდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ თემის გლეხთა კომიტეტს მნიშვნელოვანი არა გაუკეთებია რა. ნაგომრის თემის გლეხკომის თავმჯდომარე კონკრეტიულად ასახელებს იმ მიზეზებს, რომლების გამო მას არ შეეძლო გაეკეთებია იმაზე მეტი, რაც გააკეთა. ადგილებიდან მოხსენების შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე. რაიონულ გლეხკომში არჩეული არიან: კაპიტონ ახალაძე და კოლია სტეფანია (ნაგომრიდან), ქრისტეფორე მეგრელიშვილი (ძიმითიდან), ანთიმოს ქანთარია (აკეთიდან), მოსე ვადაჭკორია (ზომლეთიდან). სარევიზიო კომისიაში: შიო ქურიძე, კირილე უჯმაჯურიძე და მაკარი ქილიფთარი. მაზრაში დელეგატებათ წასვლა დაევალათ რაიონული გლეხკომში არჩეულ პირებს.

ამავე დღეს შესდგა ახალ არჩეული კომიტეტის სხდომა პრეზიდიუმის ასარჩევად. პრეზიდიუმში არჩეული არიან: კოლია სტეფანია, ანთიმოზ ქანთარია და კაპიტონ ახალაძე.

კრების დადგენილების თანახმად, პრეზიდიუმს ევალება შუამდგომლობა და მუშაობა, რომ რაიონში დროიანად გაიხსნას მუშა-მოსამსახურეებისთვის სასადილო და აგრეთვე რაიონული სავაჭრო საფართლო მაღაზია. დასასრულ კრებამ უსურვა ახალ არჩეულთ ენერგიული და საქმიანი მუშაობა და იმედი გამოსთქვა, რომ ისინი გაამართლებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ახკანელი.

მოქ. ვართაგავას შესახებ (ქ. ჭიათურა*)

6 ივნისს, 1924 წ. მე ვიყავი მოწვეული ჭიათ. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მასწავლებელთა და მშობელთა კომიტეტის შეერთებულ კრებაზე. ამ კრებას დაესწრო აგრეთვე ჭიათ. 9 წლედის გამგე მოქ. ვართაგავა. კრების გახსნისთანავე მან მოსთხოვა პასუხი კრების თავმჯდომარეს, თუ რისთვის ვესწრები მე კრებას და ამაღლებული კილოთი ამტკიცებდა, რომ მე კრებიდან წავსულიყავ.

მე განვაცხადე, რომ თავმჯდომარის უფლებაში შედის გააძევოს კრებიდან კრებისვე თანხმობით გარეშე ელემენტი, თუ ასეთი კრებაზე იმყოფება. ამის შემდეგ მან დაიწყო ჩემი ლანძღვა-გინება და შემდეგ რაც ძალა და ღონე ჰქონდა მესროლა მარმარილოს დაფა საწერ მელნებით. მე გვერდზე გადავდექი და სრულიად შემთხვევით სიკვდილს გადავრჩი.

მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ მოქ. ვართაგავამ ჭიათურაში ჩამოსვლისთანავე დაიწყო ინტრიგები და მთელი მისი „მოღვაწეობა" ინტრიგანობით ამოიწურებოდა.

მე ვამტკიცებ, რომ მოქ. ვართაგავამ თავისი ხულიგანური მოქმედებით ჭიათ. ცხრაწლედში შექმნა აუტანელი ატმოსფერა, სადაც ყოვლად შეუძლებელია მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობდეს.

მე ვამტკიცებ, რომ მოქ. ვართაგავამ თავისი დესპოტიური ხასიათით გახრწნა პედაგოგიური საბჭო და დაუკარგა მას ყოველგვარი ხალისი მუშაობისათვის.

საჭიროა აილაგმოს მოქ. ვართაგავას მხეცური ინსტინქტები. უნდა მიექცეს ყურადღება ჭიათ. 9 წლედში შექმნილ მდგომარეობას.

ყოველგვარ კონკრეტულ მასალას ზემოაღნიშნულის დასამტკიცებლათ მე მივაწვდენ, სადაც საჭირო იქნება.

ჭიათ. ტეხნიკუმის გამგე
ვსევოლოდ კაპანაძე.

---

*) მოქ. ვართაგავას წინააღმდეგ წინადაც მივიღეთ წერილი სხვა პირისაგან. ჩვენ ის არ დავბეჭდეთ. კორესპონდენციის ავტორი ჩვენთვის პირადათ უცნობი იყო და რამდენიმედ ეჭვი შევიტანეთ მის მიერ გადმოცემულ ფაქტების სისწორეში, მით უმეტეს, რომ საქმე შეეხებოდა მასწავლებელს, ხოლო ყველამ იცის, თუ როგორ ვაფასებთ ჩვენ საერთოთ ამ პროფესიის ხალხს. დღეს კი ვათავსებთ რა ამ კორესპონდენციას, რომელში მოთხრობილი შემთხვევის დამამტკიცებელი საბუთი, სათანადო ოქმის სახით, ჩვენ ხელთ არის, მივაქცევთ მასზე განათლების კომისარიატის ყურადღებას,—საჭიროა ჭიათურის 9 წლედში შექმნილ მდგომარეობის და მოქ. ვართაგავას მოქმედების გამორკვევა.

რ ე დ.

მენშევიკების განცხადება

ამხ. რედაქტორო, ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებითგამოვაცხადო, რომ უკვე რამდენიმე ხანია მე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრად აღარ ვირიცხები და პოლიტიკურ მუშაობაზედაც ხელი ავიღე. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა არასდროს არ მიწარმოებია.

ამასთან მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს მთელი ჩემი ენერგიით ჩავება კულტურულ ეკონომიურ აღორძინებისათვის არსებულ ხელისუფლების მიერ წარმოებულ მუშაობაში რომელშიდაც უკვე ორი წელიწადია უშუალო მონაწილეობას ვიღებ.

ალექსანდრე ლანდია.

12 ინლისი 1924 წ.

—

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტი"-ს მახლობელ ნომერში.

1903 წლიდან მე ვეკუთვნოდი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და განუწყვეტლივ ვმუშაობდი, ვიდრე 1920 წლამ

მუშათა ცხოვრება

14 მაისს, საღამოს 5 ნახ. საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი"-ს მუშკორების

საგანგებო კრება

კრებაზე მუშკორები უნდა გამოცხადდენ უკლებლად.

ბიუროს წევრებს ევალებათ გამოცხადდენ არა უგვიანეს 5 საათისა.

ვაფასებთ კარგ მუშაკებს

ტყავ-ტრესტის საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომმა გადასწყვიტა გაუმართოს მოკლე ხანში საპატივცემლო საღამო ამავე ტრესტის წარმოებებთან არსებულ ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბის ქართულ დრამატიულ წრის რეჟისორს ამხ. ე. კულულაშვილს, რომელიც სრულიად უსასყიდლოთ და დაუღალავად მუშაობს დღიდან კლუბის დაარსებისა. ის ითვლება ხელმძღვანელად ქართული დრამ. წრისა და ყოველ კვირადღეს სისტემატიურად ადგილობრივ მუშათა სცენის-მოყვარეთა ძალებით დგამს წარმოდგენებს. მისი ენერგიული და გულწრფელი მუშაობით დღეს აქ ქართული დრამატიული წრე უკვე საკმაოდ გაწრთვნილი და ჩამოყალიბებულია და შეიძლება თამამად ითქვას. რომ დაყენებულია მკვიდრ ნიადაგზე. იმედი გვაქვს ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობით შეხვდებიან და დააფასებენ ღირსეულ ადამიანს.

ინფორმატორი მუშა
სერგზაალი.

ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

(„წითელი მეზარგზის" რედკოლეგიის საყურად.)

ა. კ. კავკასიის გზების ადგილობრივ ტრანსპორტის განყოფილებასთან („ომეს"-ში) დაარსდა რედკოლეგიას კედლის გაზეთი „კრასნი შოსეინიკის" გამოსაცემათ. გაზეთის მიზანია გააერთიანოს ყველა ამ დარგში მომუშავენი საერთო პროფესიონალური საკითხების ირგვლივ. ფრიად საჭირო და სასარგებლო დასაწყისია და „ომესის" ყველა მუშა-თანამშრომლებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მივიღოთ გაზეთის გამოცემაში, მაგრამ, სამწუხაროთ, რედკოლეგიას ერთი დიდი შეცდომა მოსვლია. როგორც ვიცით, გაზეთი გამოდის მხოლოდ რუსულ ენაზე, რაც არ არის სასურველი—პირობების მიხედვით. რადგანაც საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის დაბალ შარა გზის მუშები, ენის უცოდინარობის გამო, მოკლებულნი არიან საშუალებას იკითხონ გაზეთი. იგი გადაიქცევა მხოლოდ საშუალო და მაღალ თანამშრომელთა ორგანოდ რაც ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა ეს შეცდომა დროზედ იქნეს თავიდან აცილებული. გაზეთი უსათუოდ უნდა გამოიცეს ადგილობრივ ენებზეც.

ინფ. **მარდალეიშვილი.**

მუშათა რიგები უნდა გაიწმინდოს სპეკულიანტებიდან

(დეპოს ადგილკომის საყურადღებოდ)

ვაგონის გამცილებლები გნეიდენი, მელაძე, ჟდანოვი, ლავრენჩუკი, კონიევი, როდიშვილი თავის სამსახურის შესრულების დროს საზიზღარ სპეკულიაციას ეწევიან, მასთან მუდამ ლოთობენ და ცუდ მაგალითს აჩვენებენ დანარჩენ პატიოსან მუშებს. დეპოს ადგილკომო, მიიღე ზომები სპეკულიანტების წინააღმდეგ.

მუშკორი—**დორუჯელი.**

რკინის გზელებში მიაქციეთ ყურადღება.

(რკ. გზ. სანიტარულ ინსპექტორის საყურადღებოდ).

არა ერთხელ დაწერილა გაზეთის ფურცლებზე რკინის გზის მთავარ სახელოსნოების საიარაღო საამქროს კონტორის შესახებ, რომ ის ნესტიანი, ბნელი და უვარგისი არის მოსამსახურეთა ჯანმრთელობისათვის. ამის შესახებ იცის ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც. ექიმმა სიხარულიძემ თავის მოვალეობა შეასრულა. მან სათანადო ოქმით აუწყა სანიტარულ ინსპექტორს მოქ. გურგენოვს ამის შესახებ (იხილეთ ოქმი № 630, 27 მაისიდან). მოქალაქე გურგენოვი ბევრჯელ იყო ამ ოქმის მიღების შემდეგ სახელოსნოებში. მაგრამ მას არც კი შეუხედია ზემოაღნიშნულ კანტორაში და როცა მას გაახსენეს ამ საქმეზე, მან ყურიც არ გაათაჩუნა. დასნეულებული მოსამსახურენი განაგრძობენ შრომას ნესტიან ოთხ კედელში. ამასთანავე იქვე კანტორასთან იმყოფება „ავტოგენის გაზის" განყოფილება, და როდესაც იქ „კარბიტით" მუშაობენ, იმ დროს საშინელი მხრჩოლავი სული დგას, რაც გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და იძულებული ვართ კარები და ფანჯარა დავკეტოთ ამ სიცხეში. მოქ. გურგენოვო! შეიარეთ საიარაღო კონტორაში და ნახეთ აქ მომუშავეთა მდგომარეობა.

მუშკორი ელდორადო.

ასეთი რევიზორი უნდა გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან

(რკ. გზ. სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოთ)

ყოფილ ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 3, ეკუთვნოდა მოქ. ენიკოლოპოვს. ამ სახლის ზემო სართულში მოთავსებული იყო ნომრები ოთახებით ვინმე კოპლატაძის და მასთან კიდევ სხვებიც იყო ამ ნომრების პატრონთა ამხანაგებში.

არ ვიცი რა მიზნით, მხოლოდ ოხრანკის და პოლიციის აგენტმა ნიკო პეტრესძე ნიკოლოპოვმა 1910 წელში მოახერხა კოპლატაძის ოთახში მიეტანა ყუმბარები და შეენახა იქ ვითომდა იმ მიზნით, რომ კოპლატაძე და მისი ამხანაგები ემზადებოდენ ვილაცაზე თავზე დასაცემად და გასაძარცავად. რადგან ეს სახლები მას ეკუთვნოდა, მან ეს ხელოვნურად მოაწყო, მერე ვითომდა მან „აღმოაჩინა" ეს განზრახვა, დააჭერინა ყველა ის, ვინც კი კოპლატაძესთან დადიოდა, და ამნაირად, როგორც დახელოვნებული პროვოკატორი, ამ „საქმემ" ფართო ხასიათი მიიღო და ის, თუ არ ვცდები, ორჯერ იქნა გარჩეული ტფილისის საოლქო სასამართლოში.

მაშინ, რასაკვირველია, ენიკოლოპოვის მიერ პროვოკატორულად მოწყობილმა „საქმემ" მიიღო სხვანაირი მსვლელობა და ყველა ის პირნი, ვინც კოპლატაძესთან დადიოდა, დაპატიმრებული და დასჯილნი იქნენ, ზოგი ციხით, ზოგიც გამასწორებელ სახლში 4 წლის ვადით, მხოლოდ თვით კოპლატაძემ სასჯელი ველარ აიტანა და ის მეტეხის ციხეში გარდაიცვალა 1911 წელს. ყველაფერი ეს მოხდა პროვოკატორი ენიკოლოპოვის მეთაურობით და მისივე ხელმძღვანელობით.

ასეთი მუშათა კლასის მოსისხლე მტრები განა დასაშვებია საბჭოთა დაწესებულებებში, და ისიც რკინის გზის რევიზორად?

ვაჟბატონი ენიკოლოპოვი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაძევებული რკინის გზიდან, სადაც ის მუშაობს რევიზორის თანამდებობაზე.

იქნებ კიდევ გამოჩნდეს ვინმე ამხანაგი, რომელსაც ენიკოლოპოვმა „სიკეთე "უყო?

მუშა ნაციმბირალი.

რკინის-გზის გაწმენდა სპეკულიანტ-მოსამსახურეებისაგან.

თანახმად რკინ. გზის პროფკავშირის დადგენილებისა ა | წ. 14 მაისიდან ოქმი № 5 სპეკულიაციისათვის სამსახურიდან მოხსნილი არიან და კავშირის წევრობიდანაც გამორიცხეს შემდეგი პირები:

1) იუდინ სტეფანე, 2) ბასინოვი, 3) ბოიკოვი, 4) კვიატკოვსკი ვლადიმერ, 5) კარკუსაშვილი, 6) მარქარაშვილი გეორგი, 7) ლაგურაშვილი აბრამ, 8) პარჩუკაშვილი. მასთან ეცნობა დეპოს ადგილკომს, რათა მათ მაგივრად იქნენ ბირჟიდან მოწვეული უმუშევარნი.

რკინის გზის **მუშკორი აუა.**

რკ. გ. სანიტარულ გან. საყურადღებოდ.

ლენინის უბანში, ლიტვინის ქუჩაზე სახლი № 12-ში სცხოვრობს ვინმე მეეტლე, რომელსაც ყავს ორი ეტლი—ოთხი ცხენით.

მთელი ზამთრის განმავლობაში, და ეხლაც ცხენების ნეხვს და ყოველივე სიბინძურეს ის ყრის ეზოში, რითაც საშინელი სუნი დგას და აწუხებს ყველა იმ არე-მარეში მცხოვრებ მეზობლებს. საჭიროა საჩქარო ზომების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული შიში რაიმე გადამდებ სენის გავრცელებისა.

მუშკორი **ჭინჭარი**

მუშათა ქრონიკა

— **ციებიან მუშებს სურამში გაგზავნიან.** რადგან სურამი მეტად მარგებელი ადგილია კლიმატიური მხრივ, ციებისათვის, ამიტომ განზრახულია იქ ციებით დაავადებული მუშების გაგზავნა. მეტ ნაწილად გაიგზავნებიან ბათომის მუშები.

— **ლენინის კუთხის და სხვადასხვა წრეების გახსნა.** 26 კომუნარის სახელობის ლითონის განყოფილების ქარხანაში ამ დღეებში იხსნება ლენინის კუთხე და არსდება მომღერალთა, ფიზკულტურის, ორკესტრის და შახმატის წრეები.

— **მუშები ეწერებიან კოოპერატივში.** 5 ივნისის საერთო კრებაზე, დეპოს, სავაგონო პარკის და სატელეგრაფო სახელოსნოების მუშებმა ერთხმად დაადგინეს ყველანი შევიდენ წევრებად ა. კ. მომხმარებელ საზოგადოება **„ზაკტპო"-ში და ილიჩის ანდერძის** თანახმად მუდამ ხელი შეუწყონ კოოპერაციის განვითარებას.

— **ჯამაგირები მუშებს თავის დროზე უნდა დაურიგდეს.** რკ.-გზ. სამმართველომ ბრძანება გასცა კოლექტიური ხელშეკრულების, განსაკუთრებით, ჯამაგირის შესახებ მუხლის მტკიცედ დაცვის შესახებ. თუ ჯამაგირი მუშებს დროზე ვერ დაურიგდა, იმ შემთხვევაში რკინისგზა ყოველ გადაცილებულ დღეზე იხდის თვიური ჯამაგირის პროცენტის ერთ მეექვსედს.

— **ერთგულება ძლიერდება.** როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა საერთო კრებაზე ერთხმად დაადგინეს წევრებად შევიდენ „დობროხიმ"-ის საზოგადოებაში და ხელი შეუწყონ მის გაძლიერებას. ფაბრიკის კომუჯრედს მიანდვეს ფაბრიკაში „დობროხიმ"-ის უჯრედის ორგანიზაცია.

— **კინო-სურათის გადაღება მექანიკურ საარტილერიო ქარხანაში.** 3 ივნისს არსენალში გადაიღეს კინო სურათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ადგილობრივმა მუშამ და კომკავშირელებმა.

— **დაიდო მუშებისათვის ხელსაყრელი კოლლექტიური ხელშეკრულება.** ფეიქართა კავშირმა სატარიფო შეთანხმება დასდო ბამბის კერძო ფაბრიკის მეპატრონე მოქ. ზლატოგორსკისთან. ამ შეთანხმებით მუშების ხელფასის ძირითადი რაოდენობა (მინიმუმი) 22 მანეთია 1:8 შეფარდებით.

ეხმარებიან საზოგადო საქმეს. რკინისგზების გზათა სამსახურის დარგის მუშა-მოსამსახურეებმა 6 ივნისის საერთო კრებაზე დაადგინეს ყველანი წევრებად შევიდენ რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოება „ზაკტპო"-ში და აქტიური დახმარება გაუწიონ კოოპერაციის მშენებლობას. ამავე კრებაზე დაადგინეს შევიდენ „ქიმიის" მოხალისე საზოგადოებაში.

— **ესენიც გვეხმარებიან.** რკინის გზების საკავშირო დარგის მუშა-მოსამსახურეებმაც დაადგინეს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოოპერაციის გაძლიერებას და შევიდენ „დობროხიმ"-ში. ამ უკანასკნელის სალსართა გასაძლიერებლად დაადგინეს გადარიცხონ პროცენტები თავიანთი ჯამაგირიდან.

მუშის ლექსიკონი.

(უცხო სიტყვათა ახსნა.)

დემონსტრაცია-დემონსტრატიული—(ლათ. სიტყვაა) ნიშნავს რაიმე აზრის, განზრახვის, პოლიტიკური ან სხვაგვარ რწმენის საჯაროდ, ყველას დასანახად და გასაგონად გამოსახვა, აღიარება-გამოქვეყნებას.

პერიოდი—(ბერძნული სიტყვაა) ხანა, დრო ორ შესანიშნავ გარემოება-შემთხვევათა შორის; ისტორიაში პერიოდს უწოდებენ ისეთ ხანას, რომლის დასაწყისთან და დასასრულთან დაკავშირებულია ვინმე დიდ პიროვნების, ერის, ან მთელი კაცობრიობის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი და დამთავრებული მოვლენა.

პერიოდული. ნიშნავს—დრო-გამოშვებით, ერთნაირი წესით და რიგით განსაზღვრულ დროის განმავლობაში რაიმე მოვლენის, ან მოქმედების განმეორებას.

ტრიბუნი.—(ლათ. სიტყვაა) მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი, ჩაგრულთა და უსამართლოდ შეურაცხყოფილთა მოსარჩლე ბელადი, რომელიც დაჯილდოებულია იშვიათი მჭერმეტყველობით. ამხ. ლენინს უწოდებენ მსოფლიო-პროლეტარიატის უდიადეს ტრიბუნს.

პოპულიარული.—(ლათ. სიტ.) ხალხური, სახალხო, მდაბიური, ადვილად გასაგები.

დის. 1920 წლიდან ამ პარტიის საზიზღარმა საქციელმა მე მაიძულა დავშორებულიყავი მას. ამ დღიდან დღემდე მე ვიყავ უპარტიოთ და ეს დრო საკმარისი იყო ჩემთვის დავრწმუნებულიყავ, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად ერთი ჭეშმარიტი პარტია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მუშათა კლასის განთავისუფლება სისხლის მწოველ და მძარცველ ბურჟუაზიის კლანჭებიდან. ამიტომ მე დღეიდან ზურგს ვაქცევ სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიას და მსურს ჩემ ყოფილ ამხანაგებთან ერთად ვიმუშაო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას, გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლიუციას.

ალექსანდრე გიორგის ძე ანებოვი.
10 ივნისი, 1924 წ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება 92

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოციალ. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში სამრეწველო საწარმოთა გახსნის წესის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს სწორი ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებსა და შენაერთებსა და კერძო პირთა შორის, რომელნიც მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებაში,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყველა მოქალაქე, რომლის უფლებაუნარიანობა კანონში დადგენილი წესით შეზღუდული არ არის, უფლება ეძლევა საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე მოაწყოს სამრეწველო საწარმოო ამა დადგენილების მე-4 მუხლში გათვალისწინებულ ფარგალში.

2. სამრეწველო საწარმო სამი კატეგორიისაა: მცირე, საშუალო და დიდი. მცირე საწარმოოდ ჩაითვლება ისეთი საწარმო, რომელსაც ჰყავს 5-მდე დაქირავებული მუშახელი და მექანიკური მამოძრავებელი არა უმეტეს 5 ცხენის ძალისა ანდა 10 მუშა-ხელი უმამოძრავებლოდ. საშუალო საწარმოდ ჩაითვლება ისეთი საწარმო, რომელსაც ჰყავს არა უმეტეს 20 დაქირავებული მუშა-ხელისა და მამოძრავებელი არა უმეტეს 25 ცხენის ძალისა ანდა 40 მუშა-ხელი უმამოძრავებლოდ. დიდ საწარმოდ ჩაითვლება ისეთი საწარმო, რომელსაც ჰყავს 20 დაქირავებულ მუშაზე მეტი და აქვს მექანიკური მამოძრავებელი 25-ზე მეტი ძალისა ანდა 40-ზე მეტი მუშა-ხელი უმამოძრავებლოდ.

შენიშვნა 1. ყოველგვარი დავა საწარმოს ამა თუ იმ კატეგორიად ცნობის შესახებ გადასწყდება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

შენიშვნა 2. დაქირავებულ მუშათა რიცხვში არ ჩაითვლება კონტორისა და ადმინისტრაციის მოსამსახურე.

3. მცირე სამრეწველო საწარმო გაიხსნება განცხადების წესით; საშუალო-სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით; ხოლო დიდი საწარმო-საკონცესიო ხელშეკრულების საფუძველზე.

შენიშვნა. ტყავეულობის, პოლიგრაფიული და ფარმაცევტიული საწარმო, თუნდაც მცირე, გაიხსნება ნებართვით და განცხადების წესით.

4. უკეთუ საწარმო ბუნებრივად იზრდება და კატეგორიებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით, იგი გადაირიცხება შემდეგ უმაღლეს კატეგორიაში, ხოლო ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესი: ნებართვის აღება ან საკონცესიო ხელშეკრულების დადება.

5. მცირე და საშუალო საწარმოს პატრონს უფლება აქვს თავისუფლად მოიხმაროს თავის წარმოების პროდუქტი და ნაკეთობა და მომქმედ კანონთა ფარგლებში შეიძინონ ნედლეულობა, მასალა, იარაღები და მოწყობილობა.

6. სამრეწველო საწარმო არ უნდა იქნეს ჩამორთმეული არც ნაციონალიზაციისა, არც მუნიციპალიზაციის წესით. მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოს განკარგულებაში ქონებული პროდუქტი და ნაკეთობა საკუთარი წარმოებისა, აგრეთვე ამ წარმოებისათვის შეძენილი მასალა, ნედლეულობა, იარაღები და სხვა. მოწყობილობა შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს რეკვიზიციის წესით, თანახმად იმ წესდებისა, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხ. დანართში.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს გადასინჯოს საკითხი ამა დადგენილების გამოცემამდე უკვე არსებულ კერძო საწარმოთა შემდგომი არსებობისა ან მათი სრულიად დახურვის შესახებ.

7. ყველა დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვისა, მიღება-დათხოვნისა, სატარიფო ნორმებისა და შეგირდობის შესახებ სავალდებულოა ამა დადგენილებაში გათვალისწინებული ყველა საწარმოს პატრონისათვის.

8. ყველა საწარმო, რომელიც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს გატარებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომიურ განყოფილების რეგისტრაციაში.

9. სამრეწველო საწარმოს პატრონი წარუდგენს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილებას წლიურ და ნახევარწლიურ ანგარიშს თავისი საწარმოს მდგომარეობის შესახებ.

10. მეთვალყურეობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისრება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომიურ განყოფილების სამრეწველო ინსპექციას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტ. თავმჯდომარე—
მ. ცხაკაია.
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გეგეჭკორი.
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი—
პ. საბაშვილი.
1924 წ. მაისის 28
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **სახელმწ. პოლიტეხ. ინსტიტუტის უჯრედების ბიურო** იუწყება, რომ პარასკევს, 13 ივნისს საღამოს 8 საათზე პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა კლუბის დარბაზში შესდგება სახელმწ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის და მუშათა ფაკულტეტის უჯრედების საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. ამხ. მიასნიკოვის მოხსენება „რ. კ. პ—ის მე-13 ყრილობის შედეგები."
2. სტუდენტთა სოციალ-აკადემიური შემოწმება.
3. სტუდენტთა საზაფხულო მუშაობა.
4. მიმდინარე საქმეები.

ბიუროს მდივანი—მეგავორიანი.

— **ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** აცხადებს, რომ **ერთიან პარტიულ დღის** მაგიერ 13 ივნისს საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრში დანიშნულია ქალაქის რაიკომის საზოგადო სარაიონო კრება. ამხ. მიასნიკოვი გააკეთებს მოხსენებას: „რ. კ. პ. მე-13 ყრილობის შედეგები" შესახებ.

მდივნის მაგიერ—აკოფოვი.

— სახ. უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ ა | წ. 13 ივნისს საღამოს 4 საათზე მოწვეულია უჯრედის ღია კრება კომ. კავშირთან და უპარტიო ამხანაგებთან ერთად. დღის წესრიგში დგას შემდეგი კითხვები 1 მე-13 პარტ. კონფერენციის პოლიტიკური ანგარიში—მომხსენებელი ამხ. გ. ნუცუბიძე, 2) მოხსენება განათლების კომისარისა უმაღლეს სასწავლებლების რეფორმის შესახებ, 3) მიმდინარე საკითხები. პარტ. დისციპლინის ძალით უჯრედის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

კომუჯრედის ბიურო

— **არსენალის რაიკომი** იტყობინება, რომ ერთიან პარტიულ დღის მაგივრათ პარასკევს 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლის შენობაში შესდგება არსენალის რაიონის პარტიულ წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1) ამხ. რუბენის მოხსენება პარტიის მე-13 ყრილობის შედეგების შესახებ.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ—მაშკევიჩი.

— შაბათს, 14 ივნისს, დღის 12 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში (ლენინის რაიონში) შესდგება ლენინის რაიონის **მუშკორთა საერთო კრება** (გაზეთ „კომუნისტის"-ს რაბოჩაია პრავდა", „ზარია ვოსტოკა", „მუშა", „მიწის მუშას", „მარტაკოჩის" და „ენიფიკირის" და სხვათა.)

დღის წესრიგი:
1) საგაზეთო კომისიის მოხსენება.
2) მუშკორთა ბიუროს ორგანიზაცია,
3) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. ლენინის რაიონის „კომიტეტის მდივანი: გოლდბაუმი.
მუშკორთა საქალაქო ბიურო.

— **საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ს. კ. პ. ტ. ო. მესამე რაიკომი** აცხადებს, რომ 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე ერთიანი პარტიული დღის **მაგივრად** ავლაბრის მუშათა კლუბში შესდგება მესამე რაიონის წევრთა და კანდიდატთა **საერთო კრება.**

დღის წესრიგში დასმულია
1) რ. კ. პ. მე-13 ყრილობის შედეგები.
2) კანდიდატების წევრებად ჩარიცხვა.

მდივანი—ვართაპეტიანი.

ა. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის უჯრედების ბიუროს წევრებს და ინსტრუქტორებს.

— თბილისის კომიტეტი აცნობებთ, რომ ა | წ. 14 ივნისს საღამოს 6 საათზე მოწვეულია კრება თბილისის ორგანიზაციის უჯრედების ბიუროს წევრების და ინსტრუქტორების პროფკავშირთა დიდ დარბაზში. მოხსენებას გააკეთებს თბ. ორგანიზაციის ყოფილი წევრი, ამხ. ხითაროვი, შემდეგ თემაზე **„კომკავშირის მუშაობა გერმანიაში".**

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

ს. ა. კ. კ. თბ. კომიტეტის მდივანი—გეურქოვი.

— საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის თბილისის კომიტეტი აცხადებს რომ პარტიის წევრები, რომლებიც ითვლებიან კომკავშირში, ამხ. ხითაროვის მოხსენებაზე დასასწრებლათ თავისუფლდებიან პარტიული დღიდან.

ს. კ. პ. თბ. კომ. მდივანი რუბენი.
ა. კ. კ. თბ. კომიტეტის საქმეთა მმართველი ბუგდანოვა

— **საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის თბილისის კომიტეტი** აცნობებს პროფესიონალურ-ეკონომიურ დარგში მომუშავე კომკავშირელებს, რომ შაბათს, 14 ივნისს საქ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება შინამრეწველთა ყველა **საშეფო კომიისიების საერთო-საქალაქო კრება,** რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდობის კომკავშირის წევრები და წარმომადგენლები საფაბრიკო-საქარხნო, ადგილკომებში, კავშირების ცენტრალურ გამგეობის წევრები და წარმომადგენლები, კომკავშირელები.

დღის წესრიგი:
ახალ. კომკავშირის ცეკას ეკონომიური განყოფილების მოხსენება.

დასაწყისი დღის 5 საათზე.

ახ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: გეურკოვი.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იტყობინება, რომ **ერთიანი პარტიული დღის მაგიერ** ივნისის 13, საღამოს 6 საათზე, რუსთველის თეატრში დანიშნულია **ქალაქის რაიკომის საერთო-რაიონული კრება.**

დღის წესრიგი:
ამხ. მიასნიკოვის მოხსენება: „მეცამეტე ყრილობის შედეგები".

მდივნის მაგიერ: აკოპოვი.

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ერთიანი პარტიული დღის მაგიერ პარასკევს, ივნისის 13, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლის შენობაში **შესდგება არსენალის რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო კრება.**

დღის წესრიგი:
1. ამხ. რუბენის მოხსენება პარტიის მეცამეტე ყრილობის შედეგების შესახებ.

სავალდებულოა ყველი წევრების და კანდიდატების დასწრება.

მდივნის მაგიერ: მაშკევიჩი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული დედა მაია ივანეს ასული, მამა ნიკოლოზ ოტიას ძე, და აგრაფინა ნიკოლოზის ასული, ძმა მიხეილი ნიკოლოზის ძე, რძალი ოლია გიორგის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველთა შვილის, მეორეთა ძმის და უკანასკნელის მაზლის

ივანე ნიკოლოზის-ძე ცომაიას

უდროოდ გარდაცვალებას ქალ. თბილისში, 10 ივნისს, გასვენება იმავე დღეს თბილისის სადგურზე, დასაფლავება სოფელ საჭილაოში (მარანი) სენაკის მაზრა პარასკევს 13 ივნისს. 1195 2—2

დედა პელაგია, ძმა კალისტრატე, და მარიამი, ბიძაშვილი რაულ ცირეკიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას 15 ივნისს, დილის 11 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე (ახალი პანთეონი) დანიშნულია

სანდრო ცირეკიძის

პანაშვიდი გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო.
1919 2—1

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

იწვევს მსურველებს მიიღონ მონაწილეობა ჯ. ს. კ. საავადმყოფოებისათვის საჭირო ხორცის 5—8 ფუთამდე დღეში მიწოდების საჯარო ვაჭრობაში, **რომელიც დანიშნულია ა | წ. 21 ივნისს შუადღის 12 საათზე** (საპიორის ქ. № 30.

განცხადება უნდა შემოტანილ იქნეს ჯ. ს. კ. საფინანსო სამეურნეო განყოფილებაში დაბეჭდილ კონვერტებში ხორცის ფასების ჩვენებით და ხელშეკრულები სთანხის 10 პროც. ხაზინაში შეტანის ქვითარით ან უფროსი ნოტარიუსის მიერ დაგირავებულ ქონებაზე მიცემულ საწინდრის მოწმობით იჯარის გაცემის დროს ჯანსახკომისარიატი იხელმძღვანელებს არა განსაკუთრებით შეძლეულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც რომლებიც შეეფერება ჯანსახკომისარიატის ინტერესებს.

გარდა ამისა ჯანსახკომისარიატი იტოვებს უფლებებს 21 ივნისს 1 საათზე მოახდინოს განმეორებითი ზეპირი შეჯიბრება. დაწვრილებითი კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ჯ. ს. კ. საფინანსო სამეურნეო განყოფილებაში 1—2 საათამდე.

ნ. 1222 9—2

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულითა და ჭლექით დაავადმყოფებული. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
895—13—7

ექიმი დ. ნ. მატვეევი-მგალობლიშვილი

ყელის, ყურის, ცხვირის და თვალის ავადმყოფობანი.
ოპერატიული მკურნალობა, პლასტიური ოპერაციები.
ავადმყოფთა მიღება საღამოს 5-დან 7 ნახ.-მდე კვირადღის გარდა.
ვერა, მლეთის შესახვევი, № 20. 1164—255—

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილება № 73.

ეტლების ნიხრის შესახებ.

1924 წლის ივნისის 10, თბილისი.

ქალაქში ეტლების მიმოსვლის მოსაწესრიგებლად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. ქალაქში ეტლებით მიმოსვლაზე დაწესებულ იქმნას შემდეგი ნიხრი:

ერთი გზა ქალაქში	60 კაპ.
სადგურამდე	90 კაპ.
სადგურიდან	1 მან. 20 კაპ.
ქალაქში მიმოსვლა გაჩერებით საქმეების გამო საათში	1 მან. 20 კაპ.
ნავთლუღამდე-შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს	1 მან. 20 კაპ.
ორთაჭალამდე ყოფ. ადელხანოვის ქარხნის იქით—შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს	1 მან. 50 კაპ.
სასაფლაომდე შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს	1 მან. 20 კაპ.
სასაკლაომდე შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს	1 მან. 50 კაპ.
საბურთალოსა და ვაკემდე—მდინარე ვერის ხიდის იქით—შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს	1 მან. 50 კაპ.
სეირნობა (ქალაქს გარეთ, საჯირითო მოედნამდე და სხვ...) შეთანხმებით.	
ღამის პირველ საათის შემდეგ	50 პროც.-ით მეტი

შენიშვნა: ა) აღნიშნულ პუნქტებამდე მგზავრობა ითვლება ქალაქის ცენტრალურ ადგილებიდან: თავისუფლების მოედანი, კარლ-მარქსის მოედანი, პლეხანოვის პრ. ვორონცოვის ხიდი, ზემმელის აფთიაქი...

ბ) ეტლში შესაძლოა ჩასხდენ არა უმეტეს 4 კაცისა.

§ 2. მეეტლეებს ევალებათ ეტლებზე წინა საჯდომის ზემოთ, თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან დაფები ნიხრის აღნიშვნით, რომლებიც უნდა შეიძინონ აღმასკომის სამნეო სექციაში.

§ 3. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირები დაისჯებიან თბილისის აღმასრულებელი **კომიტეტის** პრეზიდიუმის ადმინისტრატიული ხელისუფლებით იძულებითი **მუშაობით** ან დაპატიმრებით ორ თვემდე ან და ჯარიმით 100 მანეთამდე.

§ 4. ამ დადგენილების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინად გამოცემული სავალდებულო დადგენილება № 66.

§ 5. ქალაქის მილიციას ევალება ამ სავალდებულო დადგენილების შეურყევლად ცხოვრებაში გატარება.

§ 6. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

აღმასკომის თავმჯდომარე: **ლ. სუხიშვილი.**
ფასების მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ა. რუხაძე.**
1230—1—1 მდივანი: **ლ. თიკანაძე.**

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯან. სახალხო კომისარიატი

იწვევს მსურველებს მიიღონ წერილობითი მონაწილეობა ჯან. სახ. კომისარიატის საავადმყოფოებისათვის **საჭირო სურსათ-სანოვაგის მიწოდების საჯარო ვაჭრობაში,** რომელიც დანიშნულია ა | წ. 20 ივნისს, შუადღის 12 საათზე (საპიორის ქ. № 30).

განცხადებები უნდა შემოტანილ იქმნენ ჯ. ს. კ. საფინანსო სამეურნეო განყოფილებაში დაბეჭდილ კონვერტებში სურსათ-სანოვაგეზე ფასების ჩვენებით და ხელშეკრულების თანხის 10 პროც. ხაზინაში შეტანის ქვითარით ან უფროს ნოტარიუსის მიერ დაგირავებულ ქონებაზე მიცემულ საწინდრის მოწმობით.

იჯარის გაცემაზე ჯან. სახ. კომისარიატი იხელმძღვანელებს არა განსაკუთრებით გამოცხადებულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომელნიც შეეფერება ჯან. სახ. კომისარიატის ინტერესებს.

გარდა ამისა ჯან. სახ. კომისარიატი იტოვებს უფლებებს ივნისის 20 1 საათზე მოახდინოს განმეორებითი ზეპირი შეჯიბრება.

დაწვრილებითი კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ჯ. ს. კ. საფინანსო სამეურნეო განყოფილებაში შუადღის 1—2 საათამდის.

ნ. 1221 8—2

ქ. თბილისის მე-6 და მე-7 უბნების სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ძამიევი ამით აცხადებს, რომ 14 ივნისს 1924 წელს 1 საათზე დილის დანიშნულია გასასყიდათ

საჯარო ვაჭრობით

მამული გარდაცვალებულ გიორგი ხაჩატუროვის, რომელიც მდებარეობს ქალ. თბილისის მე-7 უბანში ტუჩკოვის შესახვევი № 8 საზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით შესახვევი, დასავლეთით შორე და ფეხის გზა მიმავალი მეტეხის აღმართიდან, ჩრდილოეთით სახლი ტერ-გუკასოვისა და სამხრეთით სახლი მიხეილ გურგენიძესი. მამული ესა აღებულია გასასყიდათ მოქალაქე სტეფანე ილჩენკოს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 24 აპრილიდან თარიღით № 22829. მამული ესა შეფასებულია.

ვაჭრობა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზედ დანიშნულ დროს. მამულის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე მოსამართლის აღმასრულებელის კამერაში (სურპ-კარაპეტის ხევი № 3) დილის 9-ან 1 საათამდის.

1209 1—1 სასამართლოს აღმასრულებელი **კ. ძამიევი.**

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანაშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—7

დაკარგე პირადობის მოწმობა, სააღრიცხვო ბარათი და მეტრიკული მოწმობა იასონ სამსონის ძე ცხაკაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1216 1—1

დაკარგე მოწმობა ელენე ქრისტეფორის ასული ქლენტის სახელზე, მოცემული ხევისთემიდან (ოზურგეთის მაზრა). ჩაითვალოს გაუქმებულად. 1215 1—1

დაკარგე პასპორტი პოლოს პეტროსოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1210 1—1

დაკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი № 176. მიხეილ ჭაბუკიანის სახელობაზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1208 1—1

დაკარგე მე მცხოვრები ქუთაისის შესახვევი № 1 სერაპიონ ჩიჩიბაიამ სიღარიბის მოწმობა გაცემული 1923 წ. მილიციის განყოფილების მიერ თარიღით № 3309. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1211 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ნოქალაქევის რაიაღმასკომის მიერ 4 თებერვალს ა | წ. № 387 ვლადიმერ ლუკას ძე ბალათურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1218 1—1

დაკარგე თბილისის ლომბარდიდან მოცემული ბარათი რომელშიაც არის აღნიშნული ნივთები: ვერცხლის ქამარი და ბეჭედი ჯვარსაწერი № 1221 ანდრო დალაქიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე მეტრიკული მოწმობა მოცემ. 1920 წ. კონსტანტინე თეოდორის ძე გაგნიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1220 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკის", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.